ახალი განათლება

2011 წელი, 23 - 29 ივნისი

ფასი 1 ლარი

№24 (538) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

საგამოცდო ტესტები საქართველოშია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე კოკა სეფერთელაძე თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, ბრიტანეთიდან ჩამოტანილი ერთიანი ეროვნული გამოცდების, მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდისა და საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტების საცავებში ტრანსპორტირების პროცესს დაესწრო.

ერთიანი ეროვნული გამოცდების, მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდისა და საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტები თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ლასერეს ტერმინალიდან თბილისისა და რეგიონების პოლიციის მთავარ სამმართველოებში გადაიტანეს და განათავსეს.

2011 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის ტესტები კონფიდენციალური დოკუმენტაციის ბეჭდვაში აღიარებულმა ავტორიტეტმა, ბრიტანულმა კომპანია „სტივენ ოსტინმა“ დაბეჭდა (Stephen Austin – www.stephenaustin.co.uk). 1768 წელს დაფუძნებული კომპანია „სტივენ ოსტინი“ დღეისათვის მსოფლიოს 4 კონტინენტზე 20 ქვეყნის საგამოცდო ცენტრსა და განათლების სამინისტროს ემსახურება.

ტესტების შეფუთვისა და ტრანსპორტირებისას დაცული იქნა უსაფრთხოების ყველა ზომა. საგამოცდო ტესტები მოთავსდა სპეციალურ პოლიეთილენის პაკეტებში, რომელთა გახსნა დაზიანების გარეშე შეუძლებელია. პაკეტები ჩაეწყო ყუთებში და დაილუქა. დალუქული და პალეტებზე განთავსებული ყუთები მოთავსდა კონტეინერში, რომელსაც სამი სხვადასხვა ტიპის ლუქი დაედო.

საგამოცდო ცენტრებს ტესტები უშუალოდ გამოცდის დღეს მიეწოდება. დალუქული ყუთების ტრანსპორტირება უშიშროების სამსახურისა და საპატრულო პოლიციის თანხლებით მოხდა.

გამოცდების ეროვნული ცენტრი

გამოცდები 2011

გთავაზობთ ინფორმაციას ერთიანი ეროვნული გამოცდების, საერთო სამაგისტრო გამოცდისა და პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდების მაქსიმალური ქულების, კომპეტენციის მინიმალური ზღვრებისა და თითოეული გამოცდის ხანგრძლივობის შესახებ გვერდი 2

გამოცემლობა „ოცდამეერთე“

ინფორმაცია რუსული ენის სახელმძღვანელოების თაობაზე გვერდი 3

საგანმანათლებლო კერა

ბათუმის ქალთა გიმნაზია გვერდი 6-7

გამოცდები 2011

გთავაზობთ ინფორმაციას ერთიანი ეროვნული გამოცდების, საერთო სამაგისტრო გამოცდისა და პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდების მაქსიმალური ქულების, კომპეტენციის მინიმალური ზღვრებისა და თითოეული გამოცდის ხანგრძლივობის შესახებ

2011 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე თითოეული საგამოცდო საგნის მაქსიმალური ქულა, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და გამოცდის ხანგრძლივობა

საგანი/გამოცდა	მაქსიმალური ქულა	მინიმალური კომპეტენციის ზღვარი გადალახულია	გამოცდის ხანგრძლივობა
ქართული ენა და ლიტერატურა	100	26	4 საათი
ზოგადი უნარები	80	21	3 საათი
უცხოური ენები	100	21	2 საათი და 15 წუთი
მათემატიკა	55	14	3 საათი და 30 წუთი
ისტორია	80	21	2 საათი და 30 წუთი
გეოგრაფია	70	18	3 საათი
ფიზიკა	75	19	3 საათი და 30 წუთი
ბიოლოგია	75	19	3 საათი და 30 წუთი
ქიმია	75	19	3 საათი და 30 წუთი
ლიტერატურა	80	21	4 საათი
სტუდენტური უნარები	42	10.6	2 საათი და 30 წუთი

2011 წლის საერთო სამაგისტრო გამოცდაზე ტესტის თითოეული ნაწილის მაქსიმალური ქულა და მინიმალური კომპეტენციის ზღვარი

ტესტის ნაწილი	მაქსიმალური ქულა	მინიმალური კომპეტენციის ზღვარი გადალახულია
წაკითხულის გააზრება	21	6.4
ანალიტიკური წერა	24	7.3
ლოგიკური მსჯელობა	17	5.2
რაოდენობრივი მსჯელობა	20	5.1

კონკურსში მონაწილეობის გასაგრძელებლად მაგისტრანტობის კანდიდატმა, საერთო სამაგისტრო გამოცდის ოთხი ნაწილიდან, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი უნდა გადალახოს სამ ნაწილში მაინც.

მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდების გამსვლელი ძულა თითოეული გამოცდისათვის და ტესტირების ხანგრძლივობა

გამოცდა	მაქსიმალური ქულა	გამსვლელი ქულა	ხანგრძლივობა
პროფესიული უნარები	70	43 და მეტი	5 საათი
ქართული ენა და ლიტერატურა	80	48 და მეტი	5 საათი
მათემატიკა	70	43 და მეტი	5 საათი
უცხოური ენები*	120*	73 და მეტი	4 საათი
გამოცდა დაწყებითი საფეხურის მასწავ-ლებლებისთვის**	100**	61 და მეტი	5 საათი
ქიმია	70	43 და მეტი	5 საათი
ბიოლოგია	70	43 და მეტი	5 საათი
ფიზიკა	70	43 და მეტი	5 საათი
გეოგრაფია	70	43 და მეტი	5 საათი
ისტორია	70	43 და მეტი	5 საათი
სამოქალაქო განათლება	70	43 და მეტი	5 საათი

* უცხოური ენების ტესტი შედგება ხუთი ნაწილისგან. სერტიფიკატის მისაღებად მონაწილემ უნდა გადალახოს მაქსიმალური ქულის 60%-ზე მეტი, ასევე თითოეულ ნაწილში უნდა გადალახოს ამ ნაწილისათვის დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი:

გამოცდა	მაქსიმალური ქულა	გამსვლელი ქულა	ხანგრძლივობა
მოსმენის ნაწილი	16	6 და მეტი	3 საათი და 45 წუთი
წერითი ნაწილი	16	6 და მეტი	
წაკითხულის გააზ-რება	22	8 და მეტი	
მეთოდიკის ნაწილი	50	-	
ლაპარაკი	16	6 და მეტი	15 წუთი

** დაწყებითი საფეხურის მასწავლებლისთვის საგამოცდო ტესტი ორი ნაწილისგან შედგება. მონაწილემ სერტიფიკატის მისაღებად უნდა გადალახოს მაქსიმალური ქულის 60%-ზე მეტი, ასევე თითოეულ ნაწილში უნდა გადალახოს ამ ნაწილისთვის დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი:

გამოცდა	მაქსიმალური ქულა	გამსვლელი ქულა	ხანგრძლივობა
პროფესიული ცოდნა და მეთოდიკა	80	33 და მეტი	5 საათი
აკადემიური უნარები	20	9 და მეტი	

2011 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების, საერთო სამაგისტრო გამოცდის, სტუდენტების საგრანტო კონკურსისა და მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდისათვის რეგისტრირებული აპლიკანტები საგამოცდო ბარათებს მიიღებენ 15 ივნისიდან რეგისტრაციის (განაცხადში მითითებულ) ადგილებზე.

საგამოცდო ბარათების გაცემა იწარმოებს 29 ივნისის ჩათვლით.

ინფორმაცია

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის დიმიტრი შაშკინის დავალებით, სამინისტროს გენერალური ინსპექცია იმ სკოლების ადმინისტრაციების საქმიანობის შესწავლას იწყებს, რომლებმაც საატესტატო გამოცდებზე დაბალი აკადემიური მოსწრება აჩვენეს. ამის შესახებ განცხადება სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსმა ირაკლი ანდრიაშვილმა სპეციალურ ბრიფინგზე გააკეთა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ისტორიაში პირველი, ე.წ. CAT-ის მოდელის საატესტატო გამოცდები წარმატებით დასრულდა. 1520 საჯარო და კერძო სკოლაში საგამოცდო პროცესი გამართულად, ყოველგვარი ხარვეზების გარეშე წარიმართა. 50 ათასამდე მოსწავლემ საკუთარი ცოდნა რვა საგანში გამოსცადა. მათგან 30%-მა მაღალი შეფასება მიიღო, ხოლო 5%-მა საუკეთესო მაჩვენებელი აჩვენა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოს სკოლებში საგანმანათლებლო პროცესი გაუმჯობესდა, ხოლო სწავლების დონე ამაღლდა. უპრეცედენტო საატესტატო გამოცდები დადებითად შეაფასა მსოფლიოს მრავალმა ქვეყანამ და ქართული ანალოგის საკუთარ ქვეყანაში დანერგვაზე დაიწყო მუშაობა.

მიუხედავად დიდი წარმატებისა, სამწუხაროდ, საატესტატო გამოცდების შემდეგ გამოიკვეთა რამდენიმე ათეული სკოლა, მათ შორის 190-ე, მე-7, 37-ე და 108-ე საჯარო სკოლები, რომლებმაც დაბალი აკადემიური მოსწრება აჩვენეს, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნულ სკოლებში სწავლება სათანადო დონეზე არ არის უზრუნველყოფილი.

სასწავლო პროცესის გამართულად წარმართვაზე პასუხისმგებელია სკოლის ადმინისტრაცია. ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 35-ე მუხლი „პასუხისმგებლობა და სტრუქტურა“ განმარტავს: *„საჯარო სკოლის მიერ ეროვნული სასწავლო გეგმის, ზოგადი განათლების სფეროში საქართველოს კანონმდებლობისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შესრულებაზე, სასწავლო-სააღმზრდელო პროცესსა და ფინანსების მიზნობრივ ხარჯვაზე თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია დაწესებულების დირექტორი, შესაბამისი სტრუქტურული ერთეული ან/და სტრუქტურული ერთეულის წევრი.“* (11.07.2009. №1385). შესაბამისად, ზემოაღნიშნულ სკოლებში კანონის ეს მუხლი დარღვეულია, ასევე დარღვეულია ყველა მოსწავლის უფლება, მიიღოს სრულყოფილი საშუალო განათლება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა ამ სკოლების სამეურვეო საბჭოებს ადმინისტრაციის პასუხისმგებლობის საკითხის განხილვა დაავალა. თუ რომელიმე სამეურვეო საბჭო თავს აარიდებს და დაკისრებულ დავალებას არ შეასრულებს, დადგება სამეურვეო საბჭოს პასუხისმგებლობის საკითხიც. აღნიშნულ პროცესს მეთვალყურეობას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გენერალური ინსპექცია გაუწევს.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ინფორმაციული ტექნოპარკის პრეზენტაციას დაესწრო. პრეზენტაციაზე წარმოდგენილი იყო ტექნოპარკის მიზნები და უახლოესი ამოცანები, ასევე გაიმართა სტუ-ს სტუდენტური თვითმმართველობისა და IT ტექნოპარკის მიერ პირველი ერთობლივად განხორციელებული პროექტის – „სტუნეტის“ (www.stunet.ge) პრეზენტაცია.

სტუ-ს IT ტექნოპარკი, რომელიც სამინისტროს მხარდაჭერით შეიქმნა, წარმოადგენს ინფორმაციული ტექნოლოგიების დარგში არსებული იდეების გენერირებისა და განხორციელების ხელშემწყობ ორგანიზაციას. მისი საშუალებით ტექნოპარკის საქმიანობაში ჩართულ სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ გამოიგონონ, განახორციელონ იდეები და კომერციულად წარმატებული IT პროექტის მფლობელები გახდნენ.

სტუ-ს IT ტექნოპარკი მონაწილეებს IT პროდუქტების შექმნის პრაქტიკული ჩვევებითა და ცოდნით უზრუნველყოფს – ჩართავს მათ კონკრეტული კომერციული დაკვეთის შესრულების პროცესში, წელიწადში ორჯერ, იდეათა გენერირების შედეგად, საუკეთესო 2 იდეა განხორციელდება და ავტორებს საკუთრებაში გადაეცემათ პროექტის კომერციალიზაციისათვის.

სტუ-ს ინფორმაციული ტექნოპარკისა და სტუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის პირველი ერთობლივი პროექტი – „სტუნეტი“ ვებტექნოლოგიებით დამზადებული სოციალური ქსელის ტიპის ვებსაიტია (www.stunet.ge), რომლის პროგრამა საქართველოში შეიქმნა, აქტიურად დაინერგა სტუდენტურ ცხოვრებაში – ახალგაზრდებს აერთიანებს და სწავლის პროცესში ეხმარება.

საქართველოს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებათა და კონკრეტულად, ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე ნოვაციური ტექნოპარკების ამოქმედების ინიციატორი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროა. ეტაპობრივად, ტექნოპარკები, პრაქტიკულად, ტექნიკურ უნივერსიტეტში არსებული მიმართულებების 80%-ს დაფარავს, რაც ავტომატურად ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასა და ტექნიკური უნივერსიტეტის, დაახლოებით, 10 ათასამდე სტუდენტის დასაქმებას ნიშნავს. საკუთარი ანაზღაურებით, სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცემათ საკუთარი სწავლის საფასურზე გაცილებით მეტი გამოიმუშაონ და პარალელურად, პრაქტიკა გაიარონ. ტექნოპარკების ამოქმედებით საქართველოში ათობით საწარმო ამუშავდება.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ორგანიზებით, პროფესიულ კოლეჯში „აისი“ გაიმართა ერთდღიანი კონფერენცია, თემაზე – „პროფესიულ კოლეჯებს შორის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება“. კონფერენციაში მონაწილეობდნენ საქართველოს მასშტაბით არსებული სახელმწიფო პროფესიული კოლეჯების ხელმძღვანელები, მასწავლებლები და წარმატებული სტუდენტები.

კოლეჯების წარმომადგენლებმა ერთმანეთს გაუზიარეს საუკეთესო გამოცდილება დარგობრივი მიმართულებებით, ასევე სასწავლო, პრაქტიკული და სამეწარმეო განათლების კუთხით. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა სტუდენტებისათვის ახალი ტექნოლოგიების სწავლების მეთოდებზე, გამოიკვეთა სოფლის მეურნეობის სპეციალობის სწავლების განსაკუთრებული საჭიროება.

პროფესიული კოლეჯების წარმომადგენლები ადგილზე გაეცნენ მევენახეობაში, მებოსტნეობაში, მემინდვრეობასა და მებაღეობაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვის მეთოდებს. ასევე, მოინახულეს ღვინისა და ბოსტნეულის გადამამუშავებელი საწარმოები, სადაც სტუდენტები, სწავლასთან ერთად, პროდუქციის წარმოების პროცესში მონაწილეობენ. „აისის“ ბაზაზე, კონფერენციის მონაწილეებმა, სტუდენტებთან ერთად, ჩამოასხეს კოლეჯში წარმოებული ღვინო.

კაჭრეთის პროფესიულ კოლეჯში, სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, მშენებლობის და მომსახურების სფეროს მიმართულებით, 600-ზე მეტი სტუდენტი იღებს პროფესიულ განათლებას. 200-მდე სტუდენტი სარგებლობს პროფესიული კოლეჯის საერთო საცხოვრებლით, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. საუკეთესო კურსდამთავრებულების დასაქმების სურვილს გამოთქვამენ პარტნიორი კომპანიები: შპს „ავანგარდი“, სს „თელიანი ველი“, შპს „შუხმან ვაინ ჯორჯია“, შპს „საქართველო მარანი“, კორპორაცია „ქინძმარაული“, კაჭრეთში მდებარე სასტუმრო „ამბასადორი“, ასევე კახეთის სხვადასხვა სასტუმროები.

კაჭრეთის პროფესიულ კოლეჯს აქვს რამდენიმე ძირითადი ნაგებობა: სასწავლო, საყოფაცხოვრებო და საერთო საცხოვრებლის კორპუსები, ავტოსარემონტო სახელოსნო და ღვინის სახლი. პრაქტიკული სწავლებისათვის მოწყობილი და აღჭურვილი სახელოსნოები.

2010 წელს დასრულდა საერთო საცხოვრებლის რეაბილიტაცია. მეღვინის სპეციალობის მაღალ დონეზე სწავლებისათვის აშენდა და აღიჭურვა ღვინის სახლი. ამჟამად კოლეჯი თანამედროვე დონეზე რეაბილიტირებულ, ახალი ტექნოლოგიებით აღჭურვილ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას წარმოადგენს.

* * *

თბილისის საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურები და 2011 წლის საუკეთესო მოსწავლეები საქართველოს ეროვნულ მუზეუმს ეწვივნენ. ღონისძიების ფარგლებში მანდატურებმა და მოსწავლეებმა ოკუპაციის მუზეუმში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის (1921-1990) ისტორიის ამსახველი მნიშვნელოვანი დოკუმენტები, ფოტომასალა და ნივთები დაათვალიერეს. მოსწავლეებმა მუზეუმში, ასევე, ოქროს ფონდის ექსპოზიციების დათვალიერება შეძლეს.

მანდატურის სამსახური მსგავს აქციებს მომავალშიც გეგმავს. მათი სურვილია, თავადაც შეიტანონ გარკვეული წვლილი ბავშვების სწორად აღზრდაში. ისინი ზრუნავენ სკოლის, მოსწავლეების, მასწავლებლების და იქ დასაქმებული სხვა პირების უსაფრთხოებაზე.

სკოლის მანდატურების საქველმოქმედო აქციების მიზანია, სასარგებლო აქციებში მონაწილეობა და საზოგადოებისთვის სკოლის მანდატურის არსის განმარტება.

სკოლებში უსაფრთხოების დაცვის მიზნით, მანდატურები ახალი სასწავლო წლიდან, თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, ზუგდიდის, ფოთის, ყვარელის, გორისა და რუსთავის საჯარო სკოლებში შევიდნენ.

მანდატურების ფუნქცია დანაშაულის პრევენცია და ბავშვისთვის ყველა სახის დახმარების გაწევაა. მათ სადამსჯელო ღონისძიებების განხორციელება ეკრძალებათ და ვალდებულნი არიან, მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე იზრუნონ.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პრესცენტრი

მერაბ ბერძენიშვილის სტუდია „მუზა“

გთავაზობთ ახალ საზაფხულო საგანმანათლებლო პროექტს, რომელიც მოიცავს:

- ხელოვნების ისტორიის შესწავლას (შემეცნებითი ფილმების ჩვენება ხელოვნებაზე);
- ხატვას (გრაფიკა, ფერწერა);
- უცხოურ ენათა დაუფლებასა და მწერლობის გაცნობას; (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, იტალიური, ესპანური, რუსული);
- მოზარდებისათვის ქართული მწერლობის გაცნობასა და წაკითხულის გააზრებას;
- საქართველოს ისტორიული წარსულის შესწავლას (გასვლით ექსკურსიებს თბილისსა და მის გარშემო ისტორიული ძეგლების დასათვალიერებლად);
- ტექნიკურ საგნებში მომზადებას სპეციალური პროგრამით.

სწავლების პროცესი წარიმართება სტუდია „მუზას“ აუდიტორიებსა და ღია ცის ქვეშ, ბაღში.

მსურველებს შესაძლებლობა აქვთ ამოირჩიონ ერთი ან რამდენიმე დისციპლინა.

საკონტაქტო ტელეფონი: 871 23 53 53

ინფორმაცია რუსული ენის სახელმძღვანელოების თაობაზე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მონაცემების საფუძველზე გაცნობებთ, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების I-VI კლასების სახელმძღვანელოების 2011 წლის გრიფირების კონკურსში რუსულ ენაში გრიფი მიენიჭა გამომცემლობა „ოცდამეერთეს“ მიერ წარმოდგენილ სახელმძღვანელოების I-VI კლასების სერიას, ავტორი – ქალბატონი **მარინე ბარსაგოვა**.

ნიშანდობლივია, რომ ხსენებული სახელმძღვანელოები მიმდინარე წელს ერთადერთია, რომელსაც ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი რუსულ ენაში გთავაზობთ.

სახელმძღვანელოები სახალისო მეთოდიკის გამოყენებით მოსწავლეებს ადვილად და სწრაფად შეასწავლის ენას, რომლის ცოდნაც აუცილებელია როგორც ჩვენს მეზობელ ქვეყნებთან საკომუნიკაციოდ, ასევე მაღალი რანგის საერთაშორისო ურთიერთობისათვის.

გრიფირებული სახელმძღვანელოების გაკვეთილების ელექტრონულ ვერსიებს, კლასების მიხედვით, შეგიძლიათ გაეცნოთ ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე – www.ncac.ge.

ამასთან, ზემოხსენებული სახელმძღვანელოების სათანადო რაოდენობით, დროულად და ხარისხიანად დაბეჭდვის მიზნით, გთხოვთ, მიმდინარე წლის ივნისის ბოლომდე მოგვაწოდოთ ინფორმაცია თქვენი სკოლებისთვის საჭირო რაოდენობის სახელმძღვანელოების შესახებ, კლასების მიხედვით.

ინფორმაცია გადმოგზავნეთ ელფოსტით შემდეგ მისამართებზე:
tjashiashvili@gmail.com
ljalagonia@gmail.com
ტელეფონი – 103 205; მობილური – 577 74 21 46

წინასწარ გიხდით მადლობას,
გამომცემლობა „ოცდამეერთეს“ დირექცია

სტუმრად ვაშლევში

1 ივნისს, ვაშლევის საჯარო სკოლაში, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საღამო ამავე სკოლის წარჩინებული მოსწავლეების დაჯილდოებით დაიწყო.

„დღევანდელი დღე ყველასათვის სიკეთის, ბედნიერების, მეგობრობის, ურთიერთპატივისცემისა და სიყვარულის მომტანი ყოფილიყოს. გვიყვარდეს ერთმანეთი – ეს ჩვენი უპირველესი მოვალეობაა. მადლობა სტუმრებს, „ორიონის“ აღსაზრდელებსა და მათ პედაგოგებს მობრძანებისთვის“ – მიმართა შეკრებილ საზოგადოებას სკოლის დირექტორმა **ქეთევან ლურსმანაშვილმა.**

სცენა ჯერ მასპინძლებს დაეთმოთ. მათ ქართული სიმღერებით, ლექსებით, ცეკვებითა და თოჯინური სპექტაკლით მოხიბლეს მაყურებელი, შემდეგ – ზესტაფონის №2 საჯარო სკოლასთან არსებულ ბავშვთა და მშობელთა სასწავლო-სარეაბილიტაციო ცენტრის „ორიონი“ აღსაზრდელებს. ცენტრის ხელმძღვანელმა **ჟანა ფერაძემ** დამსწრეთ ბავშვთა საერთაშორისო დღე მიულოცა, მადლობა გადაუხადა მასპინძლებს მონვევისათვის და ვაშლევის საჯარო სკოლას, სიყვარულისა და მეგობრობის ნიშნად, ხატი და სიმბოლური საჩუქრები გადასცა.

„დიდი მადლობა ვაშლევის საჯარო სკოლის დირექციას, პედაგოგებსა და მოსწავლეებს. ჩვენ დიდი ხნის მეგობრობა გვაკავშირებს. დღესაც ერთმანეთისადმი სიყვარული და თანადგომა უნდა გამოვხატოთ. საქართველოს მხოლოდ ეს გადაარჩენს.“

ბავშვთა და მშობელთა სასწავლო სარეაბილიტაციო ცენტრი „ორიონი“, ექვსი წელია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებსა და მათ მშობლებს ემსახურება. აქ, დილის 9 საათიდან საღამოს 5 საათამდე, გამოცდილი სპეციალისტები შეზღუდული შესაძლებლობების ორმოცამდე ბავშვს უნარ-ჩვევებს უვითარებენ.

ვაშლევის საჯარო სკოლაში გამართულ საღამოზე ზესტაფონელმა სტუმრებმა, „ორიონის“ ბავშვთა თეატრალური სტუდიის წევრებმა, ქართული ხალხური ზღაპრის „უქნარა“ ინსცენირება წარმოადგინეს.

საოცრად ლამაზი და ამაღელვებელი ღონისძიება სტუმრებისა და მასპინძლების მიერ ერთობლივად შესრულებული სიმღერით დაგვირგვინდა.

გულია ჭუმბურიძე, ზესტაფონის №2 საჯარო სკოლასთან არსებული ბავშვთა და მშობელთა სასწავლო სარეაბილიტაციო ცენტრის „ორიონი“ არტთერაპიის ხელმძღვანელი: *„პროფესიით პედაგოგი ვარ და ამ ორგანიზაციაში ჩამოყალიბების დღიდან ვმუშაობ. ჩვენი აღსაზრდელები ძალიან თბილი და ნიჭიერი ბავშვები არიან. ყოველგვარი კონფლიქტის გარეშე შეუძლიათ ერთმანეთთან ურთიერთობა. ამ დღეს დიდი სიხარულით, მოუთმენლად ელოდნენ. ინკლუზიური განათლების პროექტში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თეატრალურ სტუდიას, სადაც აქტიურად ვრთავთ ჩვენს აღსაზრდელებს.“*

ცირა ბოჭორიძე, ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინარული გუნდის წევრი იმერეთის რეგიონში: *„ინკლუზიურ განათლებას ბოლო დროს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქართველოში. ინკლუზიური განათლების პროექტის განხორციელება იმერეთში ზესტაფონის №4 საჯარო სკოლიდან დავიწყეთ. მოეწყო რესურსოთახი. ახლა ანალოგიური პროცესი მიმდინარეობს ზესტაფონის №7 და საქარის საჯარო სკოლებში. მთლიანად უნდა მოვიცვათ იმერეთის რეგიონი. სკოლის დირექტორებს, მათ შორის ხარაგაულის მუნიციპალიტეტშიც, ჩაუტარდებათ ერთთვიანი ტრენინგები ინკლუზიური ბავშვების აღზრდასთან დაკავშირებით. სკოლებთან ფართო თანამშრომლობას ვგეგმავთ.“*

ღონისძიების დასასრულს, ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა **გიორგი არევაძემ** სტუმრებს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე მიულოცა, ინკლუზიური განათლების მნიშვნელობაზე ისაუბრა და სტუმრებს საჩუქრად ხატი გადასცა.

ქეთევან ლურსმანაშვილი, ვაშლევის საჯარო სკოლის დირექტორი: *„ინკლუზიური განათლების დანერგვა და განვითარება ყველა დემოკრატიული სახელმწიფოს განათლების სისტემის მნიშვნელოვანი ამოცანაა. ამ მიმართულებით საქართველოშიც დაწყებულია მუშაობა და არაერთი სკოლა, მათ შორის ჩვენი, ჩაბმულია ინკლუზიური განათლების დანერგვაში. გვყავს ოთხი ინკლუზიური მოსწავლე. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით შედგენილ ინკლუზიურ პროგრამას ხელმძღვანელობს პედაგოგი* ***ლილი პაქსაშვილი.***

იმერეთის რეგიონში ინკლუზიური განათლების ცენტრი ზესტაფონის მუნიციპალიტეტშია. ვმეგობრობთ ზესტაფონის №2 საჯარო სკოლასთან არსებულ ბავშვთა და მშობელთა სასწავლო სარეაბილიტაციო ცენტრთან „ორიონი“. საახალწლოდ ჩვენ ვეწვიეთ, 1 ივნისს კი ვაშლევში მოვიწვიეთ. ერთად დავრგეთ ნერგები და ჩავატარეთ კონცერტი. დიდი მადლობა ყველა სტუმარს, ვინც ლამაზი დღე აჩუქა ამ ბავშვებს.“

მარი წიქარიშვილი, ვაშლევის საჯარო სკოლის მოსწავლე: *„დღევანდელმა დღემ ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ეს დღე დიდხანს მემახსოვრება. აღფრთოვანებული ვარ „ორიონის“ ბავშვების შემოქმედებით. დღეს კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ შეუძლებელი არაფერია და უნარშეზღუდული ბავშვები ჩვენგან არაფრით განსხვავდებიან.“*

თენგიზ ბარბაქაძე, ვაშლევის საჯარო სკოლის მოსწავლე: *„ყველაფერმა საინტერესოდ და კარგად ჩაიარა. ძალიან ავღელდი, ჩემი თანატოლი ბავშვები ინვალიდის ეტლით რომ დავინახე. მათთან გასაუბრებით მივხვდი, რომ მათ მიმართ ისეთი დამოკიდებულება უნდა გვქონდეს, რომ თავი საზოგადოების სრულფასოვან წევრებად იგრძნონ. ჩვენ ერთად უნდა შევქმნათ ქვეყნის მომავალი. ამ ღონისძიებამ კიდევ ერთი ლამაზი დღე შემატა ჩემს ცხოვრებას.“*

სოფო ჭიპაშვილი
გაზეთ „ჩემი ხარაგაულის“ ჟურნალისტი

ინფორმაცია

* * *

საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების დოქტორანტების სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში უცხოეთში მოღვაწე წარმატებული ქართველი მეცნიერები ჩაერთვებიან. სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების თანახელმძღვანელობისათვის სახელმწიფო გრანტების კონკურსს აცხადებს. კონკურსი დოქტორანტებს საშუალებას მისცემს, თემის თანახელმძღვანელად საქართველოს საზღვრებს გარეთ მოღვაწე ქართველი მკვლევარი ჰყავდეთ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ნოდარ სურგულაძემ და სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურმა დირექტორმა სულხან სისაურმა ახალი კონკურსის პროგრამა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეკრებილ დოქტორანტებს გააცნეს. მათი განცხადებით, ფონდის მიზანია, ერთი მხრივ, ხელი შეუწყოს ჩვენს დოქტორანტებს პროფესიულ ზრდაში, მეორე მხრივ კი, მოიზიდოს საზღვარგარეთ არსებული სამეცნიერო პოტენციალი და უზრუნველყოს საქართველოს ინტელექტუალურ და სამეცნიერო ცხოვრებაში მათი მაქსიმალური ჩართვა.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია საქართველოს მოქალაქე დოქტორანტს, რომელიც მომავალი 2 წელი დოქტორანტურის აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტია. შესაბამისად, პროექტის ხანგრძლივობა უნდა განისაზღვროს არანაკლებ 2 წლით. პროექტის ფარგლებში, ფონდის მიერ, დაფინანსდება როგორც უცხოეთში მოღვაწე ქართველი თანახელმძღვანელის საქართველოში მივლინებები, ასევე დოქტორანტის ვიზიტები თემის თანახელმძღვანელის კვლევით დაწესებულებაში, სადაც ის გაეცნობა და ჩაერთვება მიმდინარე სამეცნიერო პროცესებში. თითოეულ გამარჯვებულ პროექტს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, წლიურად, 15 000 ლარით დააფინანსებს.

კონკურსში მონაწილეობის მსურველთათვის კონკურსის პროგრამა და პირობები განთავსებულია ფონდის ვებგვერდზე – www.rustaveli.org.ge, პროექტების ელექტრონული რეგისტრაცია ამავე ვებგვერდზე 20 ივნისს დაიწყება და 25 აგვისტოს დასრულდება.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პრესცენტრი

საუბრები ბიბლიაზე

იოსები და იაკობის წინასწარმეტყველება

თითოეული მართალი სიტყვა უფლისკენ მიმავალი გზის ნაწილია

რუბრიკას უძღვება
მაკა თაქთაქიშვილი

იაკობის ოჯახს გამოელია პური და იხმო შვილები, კვლავ სთხოვა, ეგვიპტეში სარჩოს შესაძენად წასულიყვნენ. იუარა იუდამ, რადგან მკაცრად იყო გაფრთხილებული იოსების მიერ: უმცროსი ძმის გარეშე ეგვიპტეში არ ჩაესვლებოდა.

„უთხრა ისრაელმა: რად მიბოროტეთ, რად გაუმხილეთ იმ კაცს, რომ კიდევ გყავთ ძმა?“ (დაბ.43:6). იაკობს არ სურდა ბენიამინის ეგვიპტეში გაშვება: „...ჩემს შვილს ვერ გაგატანთ, რადგან მკვდარია მისი ძმა და ესღა შემრჩა. რამე უბედურება შეხვდება გზაზე, სადაც მიდიხართ. გამწარებულს ჩაიყვანთ ჩემს ჭაღარას შავეთში!“ (დაბ.42:38). ბენიამინი და იოსები ერთი დედის, იაკობის საყვარელი მეუღლის რაქელის შვილები იყვნენ, ამიტომაც მამას ისინი განსაკუთრებულად უყვარდა.

ვერ დაუთმობდა იუდა მამას. ვერ ჩავიდოდა იგი ეგვიპტეში და ვერ დაიბრუნებდა სიმონს. ძმები ხომ გარკვეული პირობებით გამოუშვეს ეგვიპტედან, ამიტომაც წარდგა მამის წინაშე და სიტყვა მისცა: „მე ჩავიბარებ და მევე მომკითხე. თუ არ მოგიყვანო და წინ არ დაგიყენო, მთელი სიცოცხლე შემცოდე ვიყო შენს წინაშე“ (დაბ.43:9).

ძმებში უფროსი ახლა იუდა იყო, ამიტომაც მან იტვირთა პასუხისმგებლობა მამისა და უფლის წინაშე და დაარწმუნა მამა, გაეყოლებინა მათთვის ბენიამინიც. „უთხრა მათ ისრაელმა, მათმა მამამ: თუ ასეა, ეს მაინც გააკეთეთ: გაავსეთ ჭურჭლები ამ ქვეყნის დოვლათით, ჩაუტანეთ იმ კაცს ძღვნად მცირეოდენი ბალსამონი, მცირეოდენი თაფლი, საკმეველი, შტახსი, ფსტა და ნუში“ (დაბ.43:11). მართლაც, დატვირთეს ძმებმა სახედარი ძღვენითა და ვერცხლით და გაუდგნენ გზას.

მიეახლნენ კვლავ იოსებს, მიუბრუნეს ტომრებში ნაპოვნი ვერცხლი, ახალი პურის საფასური, მამის გამოგზავნილი ძღვენი. „დაინახა მათთან ბენიამინი იოსებმა და უთხრა თავისი სახლის მოურავს: მოიყვანე სახლში ეს კაცები, საკლავი დაკალი და გაამზადე, რადგან ჩემთან ერთად უნდა ჭამონ პური ამ კაცებმა შუადღისას“ (დაბ.43:16). „შეიყვანა კაცმა ეს კაცები იოსების სახლში, მისცა მათ წყალი ფეხის დასაბანად და მათ სახედრებს საკვები დაუყარა“ (დაბ.43:24). მოვიდა იოსები სახლში, მიართვეს მას ძმებმა ძღვენი საკუთარი ხელით და მიწამდე თაყვანი სცეს. „მოიკითხა იოსებმა ისინი და უთხრა: ხომ მშვიდობით არის მოხუცი მამათქვენი, ვისზეც მელაპარაკებოდით? ხომ ცოცხალია ჯერაც?“ (დაბ. 43:27).

პურობის შემდეგ იოსებმა ბრძანა, შეევსოთ ტომრები ხორბლითა და სხვა მარცვლეულით, ვერცხლის ფულიც დაებრუნებინათ სტუმრებისათვის და ბენიამინისთვის უჩუმრად იოსების საყვარელი ვერცხლის თასიც ჩაედოთ.

„ის იყო ქალაქიდან უნდა გასულიყვნენ, რომ უთხრა იოსებმა თავისი სახლის მოურავს: წადი და დაედევნე იმ კაცებს, დაეწიე და უთხარი: ბოროტებით რატომ გადაუხადეთ სიკეთე? ამით არის, რომ სვამს ჩემი ბატონი; ამით არის, რომ მარჩიელობს. ცუდი საქმე გიქნიათ“ (დაბ.44:4-5) (აღსანიშნავია, რომ ეგვიპტური პირამიდების გათხრისას აღმოჩენილია ქურუმების კუთვნილი სპეციალური თასები, რომლის საშუალებითაც ქურუმები წინასწარმეტყველებდნენ).

მართლაც დაეწია მათ იოსების მსახური, სიტყვა-სიტყვით გადასცა ბატონის დანაბარები. ძმები დარწმუნებულები იყვნენ, რომ მათ ბრალი არ აქვთ, ამიტომაც თამამად განუცხადეს: „შენს მორჩილთაგან თუ ვინმეს აღმოაჩნდა თასი, მოკვდეს იგი, ხოლო დანარჩენები მონებად გავუხდებით ჩვენს ბატონს“ (დაბ.44:9). დაიწყო ჩხრეკა მსახურმა. თავდაპირველად უფროსი ძმა და მისი ბარგი შეამოწმა, შემდეგ მომდევნო და ასე რიგითობით და როდესაც სულ უმცროსს – ბენიამინს ტომარაში ვერცხლის თასი აღმოუჩინა, შეცბნენ ძმები, შეწუხდნენ, „შემოიხიეს სამოსელი, დატვირთეს თავთავიანთი სახედრები და ქალაქში გაბრუნდნენ“ (დაბ. 44:13). მივიდნენ იუდა და მისი ძმები იოსების სახლში (ჯერ კიდევ შინ იყო იგი) და პირქვე დაემხნენ მის წინაშე. „მიუგო იუდამ: რა ვუთხრათ ჩვენს ბატონს, რა ვთქვათ, რით ვიმართლოთ თავი? ღმერთმა უპოვა ბრალი შენს მორჩილთ. აჰა, მონები ვართ ჩვენი ბატონისა, ჩვენც და ისიც, ვის ხელშიც აღმოჩნდა თასი“ (დაბ.44:16). გაწყრა იოსები და განაჩენი გამოუტანა ძმებს: მონად მხოლოდ ის გახდებოდა, ვის ბარგშიც თასი აღმოჩნდა, ხოლო დანარჩენები მშვიდობით დაბრუნდებოდნენ მამისეულ სახლში.

იოსების მიზანი ძმების გამოცდა იყო. იმაზე, თუ როგორ მოიქცეოდნენ ძმები, მიატოვებდნენ თუ არა ერთმანეთს გასაჭირში, იქნებოდნენ თუ არა მართლები უფლისა და მამის წინაშე, ბევრი რამ იყო დამოკიდებული. იოსებმა იცოდა, რომ ღმერთი, ჭეშმარიტი უფალი მისი ძმების ღმერთიც იყო, ამიტომაც თითოეული მათი მართალი ნაბიჯი, თითოეული მათი მართალი სიტყვა უფლისკენ მიმავალი გზის ნაწილი უნდა გამხდარიყო.

როგორ დაბრუნდებოდნენ ძმები ბენიამინის გარეშე, მათ ხომ ფიცი დადეს, რომ გაუფრთხილდებოდნენ უმცროსს, საღსალამათს მიჰგვრიდნენ შინ მამას. მაშინ წარმოთქვა იუდამ: „გვითხრა მამაჩემმა, შენმა მორჩილმა: თქვენ იცით, რომ ორი ვაჟი მიშვა ჩემმა ცოლმა. ერთი წავიდა ჩემგან, ვთქვი, მხეცმა დაგლიჯა-მეთქი, და დღემდე აღარ მინახავს იგი“ (დაბ.44:27-28); „ახლა რომ მივუვალთ მამაჩვენს და არ მივუყვანთ ყმაწვილს, რომლის სულთანაც მისი სულია გადაფსკვნილი“ (დაბ.44:30), ვერ გადაიტანს იაკობი უმცროს შვილთან განშორებას.

„რადგან შენმა მორჩილმა ჩავიბარე ეს ყმაწვილი მამისგან და ასე ვუთხარი: თუ უკან არ მომიყვანია, მთელი ჩემი სიცოცხლე შემცოდე ვიყო-მეთქი მამაჩემის წინაშე, ახლა, დარჩეს შენი მორჩილი შენს მონად ამ ყმაწვილის სანაცვლოდ, ყმაწვილი კი თავის ძმებს წაჰყვეს, როგორ მივიდე მამაჩემთან, თუ ყმაწვილი ჩემთან არ იქნება? ნუმც შევსწრებივარ უბედურებას, რაც მამაჩემს დაატყდება თავს!“ (დაბ.44:32-34). ვერ შეჰბედავს იუდა იაკობს კიდევ ერთ უბედურებას, რადგან იაკობის სული სხვა სიმებით უკავშირდება იოსებისა და ბენიამინის სულებს. იუდა კი შეიცვალა. ის აღარ არის, რაც მრავალი წლის წინ, იოსების გაყიდვისას იყო. ღმერთმა მას მრავალი განსაცდელი მოუვლინა, ორი შვილი და საყვარელი მეუღლე დაკარგა, სხვა სატანჯველიც ბევრი ჰქონდა. ახლა კი, გარდაქმნილი იუდა, სასოწარკვეთილი, თავისი ნებით თანხმდება მონობას, ძმისა და მამის გადასარჩენად.

„ვეღარ შეიკავა თავი იოსებმა მხლებელთა წინაშე და იყვირა: გაიყვანეთ ყველანი! არავინ იყო იოსებთან, როცა გაუმხილა მან თავისი ვინაობა ძმებს“ (დაბ.45:1). ძმებმა ვერ დაიჯერეს, შიშით შეაცქერდნენ იოსებს, „უთხრა იოსებმა ძმებს: მომიახლოვდით. ...იოსები ვარ, თქვენი ძმა, ეგვიპტეში რომ გამყიდეთ“ (45:4). სათითაოდ გადაკოცნა ძმები, ტიროდა და ეხვეოდა მათ. მხოლოდ ამის შემდეგ დაელაპარაკნენ მას ძმები.

„ნუღარ იწუხებთ და ნურც თავს გაიცხავთ, აქ რომ გამყიდეთ. თქვენი სიცოცხლის სახსრად გამომგზავნა ღმერთმა. ...თქვენ კი არ გამოგიგზავნივართ აქ, არამედ ღმერთმა დამადგინა მამად ფარაონისა, მისი სახლის პატრონად და მთელი ეგვიპტის ქვეყნის განმგებლად. საჩქაროდ წადით მამაჩემთან და უთხარით: ასე ამბობს-თქო შენი შვილი იოსები: ღმერთმა დამადგინა მთელი ეგვიპტის პატრონად. ჩამოდი ჩემთან, ნუ დაყოვნდებითქო“ (დაბ.45:5;8-9).

შეიტყო ფარაონმა იოსების ძმების ჩამოსვლის ამბავი, დიდი პატივით მიიღო და უბრძანა იოსებს, გაეგზავნა მამასთან ძღვენი – დატვირთული ეტლები, ჩამოეყვანა მთელი ოჯახი და დაესახლებინა ეგვიპტის საუკეთესო მიწებზე: „თვალი ნუ დაგრჩებათ თქვენს ქონებაზე, რადგან თქვენი იქნება ყოველივე საუკეთესო მთელ ეგვიპტეში“ (დაბ.45:20). ასეც მოიქცნენ. მისცა მათ იოსებმა დატვირთული ურმები და გაგზავნა მამასთან.

ჩავიდნენ ძმები ქანაანში, მამასთან. მოახსენეს ყოველივე. „ახარეს, ცოცხალია შენი შვილი იოსები, მთელი ეგვიპტის განმგებელიაო. გაოგნდა, რადგან არ სჯეროდა მათი“ (დაბ.45:26). ბოლოს დარწმუნდა იაკობი, გაიხარა: „თქვა ისრაელმა: კმარა! ცოცხალია ჩემი შვილი იოსები! წავალ და ვნახავ, სანამ არ მოვმკვდარვარ“ (45:28).

მართლაც, აიყარნენ სახლეულითურთ იაკობი და მისი მოდგმა, ჩაალაგეს ყოველივე და გაემგზავრნენ. გზად ბერშებაში შეიარეს, იაკობმა მსხვერპლი შესწირა უფალს. „უთხრა ღმერთმა ისრაელს ღამეულ ხილვაში: იაკობ, იაკობ! მიუგო: აქა ვარ. უთხრა: მე ვარ ღმერთი, ღმერთი მამაშენისა. ნუ გეშინია ეგვიპტეში ჩასვლის, რადგან იქ გაქცევ დიდ ხალხად. მეც ჩაგყვები ეგვიპტეში, მევე ამოგიყვან იქიდან და იოსები დაგიხუჭავს თვალებს საკუთარი ხელით“ (დაბ.46:2-4). წინასწარ გაგზავნა იაკობმა იუდა იოსებთან, რომ იგი დახვედროდა მათ გოშენში, და წავიდნენ გოშენის მხარისკენ. აღკაზმა იოსებმა თავისი ეტლი და დაიძრა თავისი მამის, ისრაელის, შესახვედრად გოშენისკენ. „იხილა იგი, ყელზე მოეჭდო და დიდხანს ტიროდა მის ყელზე გადაჭდობილი, უთხრა ისრაელმა იოსებს: თუნდაც მოვკვდე ახლა, რაკიღა ცოცხალს გხედავ“ (46:29-30).

დაასახლა იოსებმა იაკობი ფარაონის ბრძანებით, მისცა მათ საუკეთესო მიწები. მოშენდნენ ისრაელის ძენი ეგვიპტეში და დიდად გამრავლდნენ. იცხოვრა იაკობმა ეგვიპტეში კიდევ ჩვიდმეტი წელი და როდესაც მოახლოვდა აღსასრულის ჟამი, იხმო იოსები, „...უთხრა: თუ მადლი მიპოვნია შენს თვალში, საზარდულქვეშ ამომიდევი ხელი. მიყავი ეს სიკეთე და მიერთგულე: ნუ დამმარხავ ეგვიპტეში, ...რომ ჩემს წინაპრებთან დავწვე, წამიღე ეგვიპტიდან და დამმარხე მათ სამარხში. უთხრა იოსებმა: შენი სიტყვისამებრ მოვიქცევი“ (47:29-30). შემდეგ კი მოუყვანა თავისი ძენი – ეფრემ და მენაშე. „აკურთხა იაკობმა და თქვა: ღმერთმა, რომლის წინაშე იარებოდა ჩემი მამა-პაპა, აბრაამი და ისაკი, ღმერთმა, რომელიც მმწყემსავს მე ჩემი გაჩენიდან დღესამომდე, ანგელოზმა, ჩემმა მხსნელმა ყოველი ბოროტისგან, აკურთხონ ეს ყმაწვილები, იწოდებოდნენ ჩემი სახელით, ჩემი მამა-პაპის სახელით, აბრაამისა და ისაკისა, დიდად გამრავლდნენ ამ ქვეყანაზე“ (დაბ.48:15-16).

მოუხმო იაკობმა სიკვდილის წინ შვილებს, რათა განეცხადებინა მათთვის მომავალი, თითოეულს თავისი წილი და ადგილი მიუჩინა სამომავლოდ აღქმის ქვეყანაში, განსაკუთრებული კურთხევა იუდამ მიიღო: „იუდა, გადიდებენ ძმები; მტრების ხერხემალს დათრგუნავ ხელით! გეთაყვანებიან მამაშენის ნაშიერნი. ლომის ბოკვერია იუდა! წამომდგარხარ, შვილო, ნადავლით ხელში; წაიხარა, გაწვა ლომივით, ვინ გაბედავს მის წამოგდებას? არ წაერთმევა კვერთხი იუდას, არც არგანი ფერხთა შუიდან, ვიდრე არ მოვა მისი მფლობელი და ის იქნება იმედი ხალხთა. ვაზზე უბია თავისი ჩოჩორი, ვენახის ლერწზე – თავისი ვირის ნაშიერი; ღვინოში რეცხავს თავის სამოსელს, და ყურძნის სისხლში – თავის ტანსაცმელს“ (დაბ.49:8-11).

იუდას შთამომავალია მეფე დავითი, რომლის შტოსაც ამ ქვეყანაზე მესია უნდა მოევლინა. ეს იყო წინასწარმეტყველება მაცხოვრის მოსვლისა.

ინფორმაცია

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ნოდარ სურგულაძე კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონული ცენტრის მიერ გაწეული საქმიანობის, სამომავლო გეგმებისა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების მიერ დაფინანსებული პროექტების პრეზენტაციას დაესწრო.

კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონული ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან და ახორციელებს საგანმანათლებლო პროექტს „კონსტიტუციონალიზმის გაკვეთილები“. პროექტის ფარგლებში მოსწავლეები ათვალიერებენ კონსტიტუციონალიზმის დარბაზს, სადაც წარმოდგენილია მსოფლიოში კონსტიტუციონალიზმის განვითარების ამსახველი ექსპოზიცია, ავსებენ თემატურ ტესტებს და მონაწილეობენ იმიტირებულ სასამართლო პროცესში.

18-19 ივნისს, კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონული ცენტრი უმასპინძლებს მოსწავლეებს თბილისის №1 და №47 საჯარო სკოლებიდან. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, კონსტიტუციონალიზმის ცენტრმა უკვე უმასპინძლა ექვსასამდე მოსწავლეს თბილისიდან, ბათუმიდან, ქობულეთიდან, ხელვაჩაურიდან, ქუთაისიდან, ხონიდან, წყალტუბოდან, სამტრედიიდან. მხოლოდ წელს ცენტრი სამიათასამდე მოსწავლეს მიიღებს საქართველოს უკლებლივ ყველა კუთხიდან.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი ოფიციალური ვიზიტით აზერბაიჯანის რესპუბლიკაში იმყოფება. ვიზიტის ფარგლებში, მინისტრი შეხვდა აზერბაიჯანის განათლების მინისტრს მისარ მარდანოვს. შეხვედრაზე ურთიერთთანამშრომლობის მომავალი გეგმები განიხილეს. ასევე, ისაუბრეს განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმებზე როგორც საქართველოში, ასევე აზერბაიჯანში. შეხვედრაზე ასევე დაგეგმეს ერთობლივი საგნობრივი ოლიმპიადა ქართველ და აზერბაიჯანელ მოსწავლეებს შორის, რომელიც შემოდგომაზე თბილისში გაიმართება.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პრესცენტრი

საგანმანათლებლო კერა

ბათუმის ქალთა გიმნაზია

ბათუმის №2 საჯარო სკოლას (ყოფილი ქალთა გიმნაზია) 2010 წელს 110 წელი შეუსრულდა.

საინტერესოა ის ვითარება, რამაც წამოჭრა ბათუმში ქალთა გიმნაზიის გახსნის საკითხი. ბათუმის ოლქის რუსეთთან შეერთების პირველსავე წლებში სკოლების რაოდენობა ძალზე მცირე იყო. ეს აღელვებდა ქალაქის ქართველ საზოგადოებრიობას. 1893 წელს წამოიჭრა საკითხი ვაჟთა კლასიკური გიმნაზიის დაარსების შესახებ. ეს საკითხი დიდხანს ჭიანურდებოდა, სანამ ქალაქის თვითმმართველობას სათავეში არ ჩაუდგა დიდი საზოგადო მოღვაწე ლუკა ნიკოლოზის ძე ასათიანი. მან, მისთვის ჩვეული ენერგიით, მოჰკიდა ხელი ვაჟთა გიმნაზიის დაარსების საქმეს. დიდი სიძნელეების მიუხედავად მიაღწია კიდეც გიმნაზიის დაფუძნებას. ვაჟთა კლასიკური გიმნაზია ბათუმში 1897 წლის 14 სექტემბერს გაიხსნა დიდ სადღესასწაულო ვითარებაში. ამ მოქალაქეობრივ ღონისძიებაზე ლუკა ასათიანს შესანიშნავი სიტყვა წარმოუთქვამს და მიულოცნია მოწინავე ქართული საზოგადოებისათვის ვაჟთა კლასიკური გიმნაზიის გახსნა.



არქივიდან

გაზეთი „ივერია“, 1897 წლის 23 სექტემბერი. ქართველი საზოგადოების მოწინავე ინტელიგენცია, პოდპოლკოვნიკ ნიკოლოზ ანტონის ძე დუმბაძის ინიციატივით, თვითმმართველობის წინაშე აყენებს საკითხს ბათუმში ქალთა გიმნაზიის გახსნის შესახებ. ამ დროს ბათუმში არსებობდა წმინდა მარინეს სასწავლებელი, რომლის კურსებიც ვერ აკმაყოფილებდა საზოგადოების მოთხოვნილებებს. ქალაქის თვითმმართველობამ, ლ. ასათიანის მეთაურობით, აღძრა შუამდგომლობა ოლქის მზრუნველის წინაშე და დაბეჯითებით მოითხოვა ქალთა გიმნაზიის გახსნა. ორი წლის განმავლობაში ეს საკითხი ჭიანურდებოდა, რადგან იგი „გაამრავლებს ინტელიგენტი ქალების რიცხვს, მით უფრო, რომ გიმნაზია აივსება მზარეულების, პარიკმახერების, მეეტლეების, თერძების და ამათი მზგავსი ხალხის შვილებით“. ასეთი იყო პასუხი ოლქის მზრუნველისგან, ამ პასუხმა უფრო გაამძაფრა სურვილი ქალთა გიმნაზიის გახსნისა. დიდი დავის შემდეგ, 1900 წლის 26 სექტემბერს, გაიხსნა ბათუმის ქალთა გიმნაზია 150 მოსწავლისათვის. ბათუმის ქალთა გიმნაზიის გახსნა უშუალოდ დაკავშირებულია ქალაქის მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლებთან: ივ. მესხის, გრ. ვოლსკის, ნ. ჯაყელის, ნ. დუმბაძის, კ. ქიქოძის, ს. ნაკაშიძისა და ლ. ასათიანის სახელებთან, ეს უკანასკნელი ქალაქის თვითმმართველობას ედგა სათავეში.

* * *

სწავლა მიმდინარეობდა რუსულ ენაზე, რაც ქართველ გიმნაზიელთათვის ძლიერ დიდ სიძნელეებს ქმნიდა. გიმნაზიაში შემდეგი საგნები ისწავლებოდა: საღვთო სჯული, რუსული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ფიზიკა, გეოგრაფია, ისტორია, პედაგოგიკა, დიდაქტიკა, ჰიგიენა, ფრანგული ენა, გერმანული ენა, ბუნებისმეტყველების ისტორია, სუფთა წერა, ხატვა, გიმნასტიკა, სიმღერა, ხელგარჯილობა და ბოლოს – ქართული ენა (ზოგიერთ სასწავლო გეგმაში გვხვდება ლათინური ენაც, რომელსაც დათმობილი აქვს 2 ან 3 კვირეული საათი). 1904 წლის გიმნაზიის სამეცადინეო ცხრილში მათემატიკა დაყოფილი იყო საგნებად: ალგებრა, გეომეტრია. საკლასო ჟურნალის მიხედვით შეფასების ნიშნებია: 2, 3, 4, 5.

1909 წლის 15 მაისის დადგენილებით, ხელგარჯილობაში არადამაკმაყოფილებელი წლიური ნიშნის შემთხვევაში, მოსწავლე დატოვებული უნდა ყოფილიყო იმავე კლასში. გიმნაზიის დაფუძნების პირველ დღეებში არ იყო დანიშნული დირექტორი და მასწავლებლები. არქივში დაცულია ცნობა ქალბატონ ნადეჟდა ნიკოლოზის ასულ ტიბელნიზე (სხვაგან მისი გვარი არსად არ ფიგურირებს). დირექტორობა კი წილად ხვდა ვაჟთა გიმნაზიის დირექტორს (შეითავსა) ი. ი. სტოიანოვს. გიმნაზიისათვის მასწავლებელთა კონტინგენტის შერჩევა დიდ მუშაობას მოითხოვდა. ყველაზე დიდი მიზეზი კი შენობის უქონლობა იყო. სკოლა პირველად ნაქირავებ შენობაში მოთავსდა, ახლანდელი სკოლის შენობის ახლოს. საკუთარი შენობა 1904 წელს მიიღო.

გიმნაზიაში სწავლება წარმოებდა იმ პროგრამით, რომლითაც რუსულ ენას სწავლობდნენ ბათუმის ვაჟთა კლასიკურ გიმნაზიაში. რადგანაც გიმნაზიისათვის რუსული ენა მშობლიური იყო, ბუნებრივია, ყველა საგნის სწავლება მხოლოდ ამ ენაზე წარმოებდა. გიმნაზიის დაარსების პირველ ხანებში სხვადასხვა ეროვნების მოსწავლეები უმცირესობას წარმოადგენდნენ. მათი გიმნაზიაში ყოფნა თითქმის შეუმჩნეველი იყო. მხოლოდ 1904-06 წლებში და შემდგომ გიმნაზიელთა 40%-ს არარუსი წარმოშობის ახალგაზრდები შეადგენდნენ. მათ მშობლიურ ენაზე (ქართული) აზროვნება და სწავლა სასტიკად ეკრძალებოდათ. ამიტომ იზეპირებდნენ გრამატიკულ წესებს, ლექსებს, მოთხრობებს, რომელთა შინაარსი, უმეტეს შემთხვევაში, მათთვის უცხო იყო.

ქართველი მოწინავე ინტელიგენტები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ნიკოლაძე მოითხოვდნენ სწავლებას მხოლოდ მშობლიურ ენაზე. *„ბავშვმა თავდაპირველად თავის დედაენაზე უნდა გაიხსნას გონება და უცხო ენის სწავლებას მხოლოდ მაშინ მოჰკიდოს ხელი, როცა თავის დედაენაზე საკმაოდ განვრთნილი იქნება“* (ილია ჭავჭავაძე).

გიმნაზიის ხელმძღვანელობა და თვით რუსული ენის მასწავლებლები ამ საგნის – რუსული ენის – ცოდნის დაბალ დონეს ხსნიდნენ როგორც საათების (გაკვეთილების) სიმცირით, ასევე არარუსი მოსწავლეების განვითარების დაბალი დონითაც და სწავლების პროცესში სასტიკ სიმკაცრეს მიმართავდნენ.

– „გვსჯიდნენ, თუ ქართულად დავილაპარაკებდით“;

– „ქართულს, მგონი, არც გვასწავლიდნენ“;

– „მხოლოდ საღმრთო რჯულს ვსწავლობდით ქართულად“.

(გიმნაზიის კურსდამთავრებულთა მონათხრობიდან).

ელენე სახაროვა

დირექტორის კაბინეტში 1957 წ.

არქივიდან

1900 წლის სექტემბერში გიმნაზიაში ჩაირიცხა 150 მოსწავლე და გაიხსნა 5 კლასი.

I – 36 მოსწავლე;

II – 38 მოსწავლე;

III – 28 მოსწავლე;

IV – 26 მოსწავლე;

მოსამზადებელში – 24 მოსწავლე.

ხელს აწერს: За начальницу – Ральцевич.

Начальница попечительного совета – госпожа Тиблень Надежда Николаевна.

(შემდეგ ეს გვარი არსად მოიხსენიება)

ერთი წლის შემდეგ დაშვებულია ებრაელთა შვილების მიღებაც.

* * *

დაარსების დღიდან (1900 წლიდან) სკოლას ხშირად ეცვლებოდა სახელი:

1900-1921 – ბათუმის ქალთა გიმნაზია;

1921-1922 – ბათუმის მეორე საფეხურის სკოლა (ჰუმანიტარული);

1924 – შვიდწლედი;

1934 – შვიდწლედი გადაკეთდა საშუალოდ;

– დაერქვა ბათუმის №4 საშ. სკოლა და მიენიჭა ვ. ი. ლენინის სახელი;

– გადაკეთდა ლენინის სახ. ვაჟთა №2 საშ. სკოლად;

1949 – ეწოდა №1 საშ. სკოლა;

1966 – ვ. ი. ლენინის სახ. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა;

1980 – ბათუმის ვ. ი. ლენინის სახ. №1 საშ. სკოლა;

1991 – ბათუმის დ. აღმაშენებლის სახ. №2 საშ. სკოლა;

2001 – ბათუმის დ. აღმაშენებლის სახ. გიმნაზია;

2004 – ბათუმის №2 საშ. სკოლა (შეუერთდა ელემენტარული სკოლა);

2005 – ბათუმის №2 საჯარო სკოლა.

სასწავლებელმა მეტად საინტერესო პერიოდები განვლო: საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე – 1921 წლამდე; ავადსახსენებელი 1937 წელი; სამამულო ომის და ომისშემდგომი.

გიმნაზიის არსებობის ძირითად წყაროს სწავლის ქირა წარმოადგენდა. თითოეული მოსწავლე სწავლის ქირას, წელიწადში, 60 მანეთს იხდიდა და ცეკვისთვის ცალკე – 5 მანეთს (ცეკვა აუცილებელი იყო). წელიწადში, ამ გზით, გიმნაზიის შემოსავალი 1.400 მანეთი იყო. სხვა გზა იყო შემოწირულობები (მაგალითად, 1915 წელს ამ თანხამ 210 მანეთი შეადგინა). თანხა ყოველწლიურად იზრდებოდა.

გიმნაზიის მიზანი იყო ადგილობრივი და ახლომდებარე რაიონების მკვიდრ მცხოვრებთა ქალიშვილების აღზრდა, მათთვის აუცილებელი, საჭირო განათლების მიცემა.

სწავლა 1 სექტემბერს იწყებოდა და ივნისის შუა რიცხვებში მთავრდებოდა, მაშინ ხდებოდა ატესტატების გაცემაც. 1902 წელს სასწავლო წლის მეცადინეობის დამთავრების ვადა შეიცვალა. განათლების სამინისტროს სპეციალური მიმართვის საფუძველზე, გამოსაშვებ კლასებში მეცადინეობა წყდებოდა 11 მაისს, სხვა კლასებში – 30 მაისს. გაუქმდა კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდები. მოსწავლეთა გადაყვანა კლასიდან კლასში წლიური ნიშნების მიხედვით ხდებოდა.

საქართველოს გასაბჭოებამდე, ბათუმის ქალთა გიმნაზიის დირექტორები იყვნენ: ალექსანდრე ილიას ძე სტოიანოვი – 1900 წ. (ნახსენებია ნადეჟდა ნიკოლოზის ასული ტიბლენიც – 1901 წ. 20/I); ელენე (ლავინია) სახაროვა ივანეს ასული – 1902 წ. 20/I; დანიელ ქინქლაძე – 1920 წ. 4/X.

არქივიდან

1902 წლის 20 თებერვალი. მოისმინეს პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარის მოხსენება გიმნაზიის მოსწავლეებისათვის ჯილდოდ ნ. ვ. გოგოლის ნაწარმოებების კრებულის გადაცემა в честь чествования его памяти.

მე-5 კლასიდან – 7 მოსწავლეს

მე-4 კლ – 8-ს

მე-3 კლ. – 3-ს

საგანმანათლებლო კერა

მე-2 კლ. – 2-ს. აღნიშნულია, რომ ეს მოსწავლეები ძალიან კარგად იქცევიან და კარგადაც სწავლობენ.

* * *

13, 14/V. ქალთა გიმნაზიაში მოეწყო მოსწავლე გოგონების ნახატებისა და ხელსაქმის გამოფენა. ამაზე ადგილობრივ გაზეთში და გაზეთ „Кавказ"-ში იყო ცნობა და სურათებიც. შესვლა უფასო ყოფილა.

(არქივში ძალიან მწირი ცნობებია საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პერიოდის გიმნაზიაზე).

* * *

1920 წლამდე, დოკუმენტების მიხედვით, ქალთა გიმნაზიის დირექტორად ელენე სახაროვაა. ეს ის დროა, როცა ქალაქის მართვა მენშევიკებმა ჩაიგდეს ხელში. გიმნაზიაშიც აირ-დაირია დისციპლინა, სწავლება, აღზრდა. ისეთი ენერგიული და მკაცრი ქალი, როგორიც სახაროვა იყო, ვეღარ ახერხებდა გიმნაზიაში დისციპლინის დამყარებას. ბევრი პედაგოგი წავიდა. შემცირდა მოსწავლეთა რაოდენობაც. 1921 წლიდან სახაროვას გვარი აღარ მოიხსენიება.

1920 წ. 4 ნოემბერი. ოქმი.

პირველად ქართულ ენაზე ოქმს ხელს აწერს ბ. დ. ქინქლაძე.

რეპრესირებული დირექტორები

1934/35 სასწავლო წლის 7 სექტემბრიდან დირექტორად დაინიშნა **გრიგოლ გორგაძე.** 1937 წელს იგი გადაუსახლებიათ. ყოფილა შესანიშნავი პიროვნება, სპეციალისტი, დირექტორი. განსაკუთრებით ჰყვარებიათ უფროსკლასელ ბიჭებს. მის დროს სკოლა მოწინავეთა რიგებში ყოფილა. შემორჩენილია იმდროინდელ მასწავლებელთა სია.

1936 წელი – დირექტორი **სიმონ ქარუმიძე**. არქივში, ბათუმისა და თბილისის ტელეფონების წიგნებშიც ეს გვარი თითქოს სპეციალურად იყო ამოშლილი. მის შესახებ არავინ არაფერი იცის.

მემნუნე უსტიაშვილი, ექიმ-გინეკოლოგი: სიმონ ქარუმიძე ძალიან კარგად მახსოვს, ჩვენი დირექტორი იყო. ოჯახი თბილისში ცხოვრობდა. 37 წელს დააპატიმრეს. იყო დაბალი, მსუქანი და ძალიან სანდომიანი შესახედავი. ასწავლიდა გერმანულს. სტუდენტობის დროს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში წაგვიყვანეს პრაქტიკაზე. იქ ეზოში ბევრი ავადმყოფი იყო. მათში ჩვენი დირექტორი ამოვიცანი. მისკენ გავიწიე, მაგრამ მან ძალიან ფრთხილად თითი მიიდო ტუჩთან – გაჩუმდიო. ძალიან გამიკვირდა. მერე, როცა ბათუმში დავბრუნდი ახლობლებმა მითხრეს, 37-ში დააბრალეს რაღაც და ნერვიულობით ფსიქიატრიულში მოხვდაო. შემდეგ მასწავლებლებმა – ნინა კაკაბაძემ, ფარცხალაძემ, მ. ჩიტაიშვილმა, ბ. დადუნაშვილმა მითხრეს – მგონი საავადმყოფოში დახვრიტესო.

1937 წლის რეპრესიებს შეეწირა ამ სკოლის კიდევ ერთი დირექტორი – **ირაკლი ღლონტი**. მასზეც ვერაფერი გავიგე. ამბობდნენ, გაგვიგია, რომ ძალიან მაგარი დირექტორი იყოო. ისიც გავიგე, სად ცხოვრობდა, მაგრამ თითქოს ახლაც ეშინოდათ, არავინ მასზე არაფერი არ იცოდა. მერე დავიწყე თბილისში ძებნა. ღლონტების 80 ოჯახში დავრეკე. არავინ არაფერი იცოდა. ყველანაირი იმედი რომ დავკარგე, სწორედ მაშინ მივაგენი. ჩემს შვილ ზაზასთან თბილისში მოვიდნენ რაგბისტი მეგობრები. ლაპარაკში გავიგე, რომ ერთ-ერთი ირაკლი ღლონტი იყო. გაოცება რომ გამოვხატე და მოვუყევი ჩემი გასაჭირი, მან გაიცინა: ცირა დეიდა, მაგ ირაკლის პატივსაცემად დამარქვეს მეც ირაკლიო. ბაბუაჩემის ძმა ყოფილა და მთელი ოჯახი 1937 წელს ამოუწყვეტიათო. სახლში მხოლოდ პატარა სურათი (ისიც ჩუმად) გვაქვს და ხელჯოხი წარწერით: „6ბ კლასის მოსწავლეებისაგან საყვარელ ირაკლი მასწავლებელს. 1925 წ.". მან სურათიც და ჯოხიც მომიტანა.

თამარ აბაკელია

სამამულო ომი

ომი რომ დაწყებულა, ჩვენი სკოლის მეათე კლასის მოსწავლეები მოხალისედ წასულან. ნაწილი არ დაბრუნებულა. ჩვენი სკოლის მასწავლებელმა დოდო ქინქლაძემ და მაშინ სრულიად ახალგაზრდა ცირა კვაჭანტირაძემ შეუძლებელი შეძლეს და ყველა მათგანის ვინაობა დაადგინეს. მათი სურათები დირექტორის კაბინეტის წინ იყო გამოფენილი (ციალა შარაძის დირექტორობის დროს).

ამ გამოშვების მოსწავლეებმა ატესტატი მიიღეს 1941 წლის 22 ივნისს, სამამულო ომის გამოცხადების დღეს. თითქმის ყველა იბრძოდა დიდ სამამულო ომში. მათ შეიძლება „ღიმილის ბიჭები" ვუწოდოთ. დირექტორი **გრიშა ლორთქიფანიძე** მოხალისედ წასულა. 1941 წლის გამოშვების მოსწავლეთა უმეტესობა ეწეოდა შემოქმედებით ცხოვრებას (განსაკუთრებით ვაჟები). ნოდარ ალანია იყო ბრწყინვალე ფილოლოგი. შურა ჯაველიძემ სკოლის პერიოდში დაწერა პიესა „დაუთ", რომელიც დაიდგა მასწავლებელთა სახლის სცენაზე. აგრეთვე პიესა „გარიჟრაჟზე". მის სამწერლო (დრამატურგიულ) მოღვაწეობას ხელი შეუშალა სამამულო ომმა. ომიდან დაბრუნებულმა გადაწყვიტა, გამხდარიყო არქიტექტორი. ეს კი განაპირობა საბჭოთა კავშირის გმირის, არქიტექტორ ირაკლი ციციშვილის მიერ ომში მტრის მიერ აფეთქებული ხიდის ორ დღეში აშენებამ.

* * *

1944 წელს სკოლა გაიყო ქალთა და ვაჟთა სკოლებად. გოგონების ნაწილი გადაიყვანეს №1 ქალთა სკოლაში (შაუმიანის ქუჩაზე), ხოლო ნაწილი – №2 ქალთა სკოლაში (პუშკინის ქუჩაზე). ჯინჭარაძის ქუჩაზე (ყოფილი გურიის შესახვევი) ყოფილ №4 სკოლას ეწოდა №1 ვაჟთა სკოლა.

1945 წელს, ომის დამთავრების წელს, იყო №1 ვაჟთა სკოლის მეორე გამოშვება.

1941 წლის კურსდამთავრებულები ნულ კლასში. ხელმძღვანელი მარო ლოლუა, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი.

1941 წლის კურსდამთავრებულები.

I რიგი: ..., ნადია კანაპლია, დოდო ქინქლაძე, ეთერ ნიკოლაიშვილი, თალიკო სადრაძე; II რიგი: ბიოლოგიის მასწავლებელი დარეჯან ლომთათიძე, ლიტერატურის მასწავლებლები: ვიქტორ კასრაძე, მარია ბარქაია; გრიშა ლორთქიფანიძე – ისტორიის მასწავლებელი, სკოლის დირექტორი, მათემატიკის მასწავლებელი – თამარ კვაჭაძე, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი; ფიზიკის მასწავლებელი – ელენე მჟავანაძე; III რიგი: მამია კუკულაძე, ვლადიმერ (ვოვა) ჯორბენაძე (კომკავშირის მდივანი) მანონი ხელაია, მერი ბორჩხაძე, ნინა ვასაძე, ლარისა ქიქოძე, ძაბული ხელაია; IV რიგი: ჟორა გოგოძე, გიორგი ჯიბლაძე, თემურ ხავთასი, ვაჟა ჩხაიძე, კუსა (გალაკტიონ) სიხარულიძე, შურა (ალექსანდრე) ჯაველიძე.

კურსდამთავრებულები

სკოლის კურსდამთავრებულთა შორის არაერთი ცნობილი პიროვნებაა. ჩვენ მხოლოდ რამდენიმეს გაგაცნობთ:

პირველი ქართველი ქალი მოქანდაკე-მხატვარი **თამარ აბაკელია** ცნობილი სურათებია: „ვეფხისტყაოსნის" ილუსტრაციები, „ქეთევანი", „შურისძიება", „სასიხარულო ამბები ფრონტიდან", „გიორგი სააკაძე" და სხვ.

მიხეილ უკლება – საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი ბულგარეთში.

თამაზ დიასამიძე – თბილისის ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფოს ყელ-ყურ-ცხვირის განყოფილების გამგე – შესანიშნავი ქირურგი, პაციენტების მიერ „მსოფლიოში ყველაზე კეთილ მომღერალ ექიმად" წოდებული; მოწოდებით ქველმოქმედი, რომელიც ყოველი შვებულების დროს თბილისიდან ბათუმში ჩამოდიოდა და უფასოდ აკეთებდა ოპერაციებს. ხელმოკლე ოჯახებისა და უპოვართა განმკითხავი, კოლეგების მიერ წლის საუკეთესო ექიმთა რეიტინგში არაერთხელ აღიარებული... ცნობილი ქართველი მედიკოსების – ტარსაიძის, გომართელის, ჟორჟოლიანის ტრადიციების გამგრძელებელი. ექიმი ესთეტი, რომელიც ანესტეზიად საკუთარ ვოკალურ მონაცემებს იყენებდა.

პარიზში მცხოვრები, საქვეყნოდ აღიარებული ოქრომჭედელი **გუჯი (ელგუჯა) ამაშუკელი**. მისი ძმა ნუკრი კი მოსკოვში კინორეჟისორია (მასწავლებელ ნინა კაკაბაძის შვილები).

ჩვენი სკოლის საამაყო მოსწავლე, ოქროსმედალოსანი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, აჭარის კულტურის მინისტრი, გაზეთ „საბჭოთა აჭარის" რედაქტორი, ბატონი **ბიძინა მახარაძე**.

ოპერის მომღერალი **ალექსანდრე (ალიკო) ხომერიკი**. მასზე დედაჩემმა მეტად საინტერესო ამბავი მიამბო: ალიკო ჩემს სადამრიგებლო კლასში სწავლობდა. ნიჭიერი, მაგრამ ზედმეტად ცელქი და მოუსვენარი ბიჭი იყო. თურმე, ერთხელ, გაბრაზებულს მისთვის მითქვამს: შვილო, შენ ისე იქცევი, რომ შენგან არაფერი გამოვაო. გავიდა წლები და ალიკომ შემომითვალა: მარო მასწავლებელო, მე თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მომღერალი ვარო. ერთხელ, როცა ბათუმში გასტროლებზე იყო, ბილეთიც კი გამომიგზავნაო.

1999 წლის 28 ივლისს ქართული გაზეთები, რადიო, ტელევიზია იუწყებოდა, რომ ავიაკონსტრუქციის ისტორიაში შეიქმნა პირველი ქართული კოსმოსური რეფლექტორი, რომელსაც დიდი სამხედრო, სამოქალაქო და სამეცნიერო მნიშვნელობა ენიჭებოდა – ცნობას თან ახლდა კონსტრუქციის ავტორის – **ელგუჯა მეძმარიაშვილის** ფოტოსურათი. სახელი და გვარი მეცნო. დედას მოსწავლე იყო. მოვძებნე სურათები. გამიმართლა. ელგუჯა მეძმარიაშვილი ჩვენი სკოლის საამაყო მოსწავლე, ოქროს მედალოსანი გახლდათ.

აღნიშნული ნაკეთობის დამზადებაში მონაწილეობდნენ: მიხეილ ჯანიკაშვილი და ვასილ ურუშაძე. ორთავე ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულები, მედალოსნები იყვნენ. ელგუჯა მეძმარიაშვილი ახლა სამხედრო, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი, გენერალ-მაიორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატია. მას მიღებული აქვს საქართველოს უმაღლესი სახელმწიფო ჯილდო – ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენი; საქართველოს, რუსეთისა და სხვა ქვეყნების ორდენები და მედლები. როდესაც ელგუჯა მეძმარიაშვილს საზეიმო ვითარებაში გადაეცა დამსახურებული ჯილდო, საქართველოს კულტურის მაშინდელმა მინისტრმა, თურმე, ყურში ჩუმად ჩასჩურჩულა: რაც კარგები ვართ, პირველსკოლელები ვართო.

* * *

ამ ადამიანების პიროვნული ღირსებები, მათი დამსახურება ქვეყნისა და საზოგადოებრიობის წინაშე მავალდებულებს საკადრისი პატივი მივაგო სკოლას, რომელშიც ისინი აღიზარდნენ. მიმაჩნია, შეიქმნას მუზეუმი, რომელიც ნათელს მოჰფენს სკოლისა და მისი პედაგოგიური პერსონალის კეთილშობილურ საქმიანობას. მომავალ თაობას კი გაუღვიძებს ინტერესს – ისწავლონ ბეჯითად, იყვნენ წარმატებულები და გამოადგნენ სამშობლოს მისი მომავლის შენებაში.

მასალა მომზადდა სკოლის კურსდამთავრებულის, ქალბატონ ცირა ბეძაიას მიერ მოძიებული და ინტერნეტში განთავსებული ინფორმაციის საფუძველზე.

მოსწავლე ახალგაზრდობის დღეები – 2011 დასრულდა

საგარეჯოს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი უკვე რამდენიმე წელიწადია ახორციელებს კომპლექსურ ღონისძიებათა პროექტს – „მოსწავლე ახალგაზრდობის დღეები“, რომელიც, როგორც წესი, აპრილში „დედა ენისა“ და „სიყვარულის დღით“ იხსნება და 1 ივნისს მთავრდება. ასე მოხდა წელსაც. მოსწავლე ახალგაზრდობის დღეები 16 აპრილს გაიხსნა „სიყვარულის დღისადმი” მიძღვნილი უფროსკლასელთა შეხვედრით, რომელსაც უძღვებოდნენ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის პატარძეულის საჯარო სკოლის მოსწავლე **სოფო გვარიძიშვილი** და პატარძეულის ქართულ-ფრანგული სკოლა-ლიცეუმის მოსწავლე **არსენ გორგაძე**. შეხვედრაში მონაწილეობდნენ: საგარეჯოს №1, №2, №3, ნინოწმინდის, გიორგიწმინდის, მანავის, პატარძეულის, შიბლიანის საჯარო სკოლების მოსწავლეები და პედაგოგები, მოწვეული სტუმრები – საგარეჯოს მუნიციპალიტეტისა და ახალგაზრდული სამსახურის წარმომადგენლები: **ძაგული მათიაშვილი**, **არჩილ ჯაბადარი**, **ლია კოხტაშვილი** და **ნაზი არჩუაძე**; რეჟისორი **ცისანა ცხვედიანი**; მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის აღზრდილები, მსახიობები: **პაატა** და **გიორგი ქვლივიძეები**; პედაგოგები: **მთვარისა ბაღათრიშვილი, ანა მარგიანი** და **ეკა შაქარაშვილი**, ჯეოსტარელი **ირინა ბაირამაშვილი**. თითოეულმა სკოლამ საინტერესო მხატვრული ნომერი წარმოადგინა. ჩვენი საღამო გაალამაზეს: ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ნაკადული“ (ქორეოგრაფი – **თინათინ სუხიაშვილი**) და საესტრადო ჯგუფის პატარა მომღერლებმა (ხელმძღვანელი – **მარინა ურდულაშვილი**). საღამოში მონაწილეობა მიიღეს და დიდი მხიარულება შემოიტანეს „მიხომ და მარომ“ – შიბლიანელმა და-ძმამ – **ელენე** და **გიორგი ჭამიაშვილებმა** – სატელევიზიო პროექტ „ნიჭიერი-2010“-ის მონაწილეებმა. ამას მოჰყვა მხატვარი ბავშვების „სააღდგომო გამოფენა“, რომელიც 16-დან 30 აპრილის ჩათვლით მიმდინარეობდა. მოწონებული ნამუშევრები გაიგზავნა თბილისში, ე. ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების ეროვნულ გალერეაში. 21 აპრილს კი მოსწავლეთა და პედაგოგთა ძალებით გაიმართა ღონისძიება „დედამიწის დღე“ – დაასუფთავეს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის მიმდებარე ტერიტორია, მოეწყო ხატვის დასწრებული ტური და პლაკატების გამოფენა „გადავარჩინოთ დედამიწა“.

12 მაისს მოსწავლეთა თვითმმართველობების წარმომადგენლები შეხვდნენ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის აქტივისტ მეთორმეტეკლასელებსა და სხვადასხვა გაცვლით პროექტებში მონაწილე მოსწავლეებსა და მოსწავლეთა ჯგუფებს. წარმოადგინეს თავიანთი მოგზაურობის შედეგები, თანატოლებს უამბეს და აჩვენეს: ინგლისი, ოქსფორდი – **ანი მოსიაშვილმა**, კემბრიჯი – **სალომე ლალიაშვილმა**; ბრაზილია – **არსენ გორგაძემ**, საფრანგეთი – **გვანცა მუჩიაშვილმა**, ეგვიპტე – **ქეთევან ონაშვილმა**.

21 მაისს კი გაიმართა ინტელექტთამაშის I ტური, თემა – „ბავშვის თვალით დანახული ეგვიპტე“, რომელშიც მონაწილეობდნენ საგარეჯოს №1, №2, №3, ნინოწმინდის, დიდი ჩაილურისა და გიორგიწმინდის საჯარო სკოლების გუნდები. ღონისძიებას უძღვებოდა მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ინტელექტკლუბის ხელმძღვანელი ბატონი **ბადრი დრეიძე**. ადგილები ასე განაწილდა: I ადგილი – ნინოწმინდის საჯარო სკოლის გუნდი, II ადგილი – დიდი ჩაილურის საჯარო სკოლა, ხოლო III ადგილი საგარეჯოს № 3 და გიორგიწმინდის საჯარო სკოლების გუნდებმა გაიყვეს. მონაწილე გუნდების ინიციატივით გადაწყდა, ჩატარებულიყო II ტურიც – თემად კი „ძველი საბერძნეთი“ აირჩიეს. აქვე აღვნიშნავ, რომ II ტური ჩატარდა 11 ივნისს და პირველობა არავის დაუთმო გიორგიწმინდის საჯარო სკოლის გუნდმა, II ადგილი საგარეჯოს № 1 და ნინოწმინდის საჯარო სკოლებს შორის განაწილდა, III ადგილი კი წილად ხვდა დიდი ჩაილურის საჯარო სკოლის გუნდს, IV ადგილზე გავიდა საგარეჯოს №2 საჯარო სკოლის გუნდი.

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის დღეს, 26 მაისს, საგარეჯოს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში, გარდა ჩვენი ლიტერატურული სალონის მოსწავლეებისა, სხვა შემოქმედი ახალგაზრდებიც შეიკრიბნენ. შეხვედრას ესწრებოდა ჟურნალისტი და შემოქმედი პედაგოგი **ლეილა არჩემაშვილი**. წაკითხულ იქნა ქართველი კლასიკოსებისა და ახალგაზრდა შემოქმედების პატრიოტული ლექსები.

1 ივნისი – მოსწავლე ახალგაზრდობის დღეების დახურვა – ტრადიციულად, საგარეჯოს ცენტრალურ მოედანზე გაიმართა. დილის 11 საათიდან გადაიკეტა მოძრაობა. საბავშვო ბაღების აღსაზრდელებმა და ქალაქის სკოლების დაწყებითი კლასების მოსწავლეებმა, წარმატებულმა მხატვარმა ბავშვებმა სხვადასხვა საჯარო სკოლებიდან ასფალტზე ხატვა დაიწყეს, თემა თავისუფალი იყო. პარალელურ რეჟიმში კი, საზეიმო კონცერტი დაიწყო, რომელიც გახსნეს საგარეჯოს №1 საბავშვო ბაღის (მენეჯერი – **თამარ ლაფერიშვილი**) და № 3 საბავშვო ბაგა-ბაღის (მენეჯერი – **მზია ბეჟიტაშვილი**) აღსაზრდელებმა. პაწიებმა ულამაზესი ცეკვები და ვარჯიშები უჩვენეს თანატოლებს, ამას მოჰყვა ბავშვთა საესტრადო ჯგუფის გამოსვლა, ქალბატონ მარინა ურდულაშვილის ხელმძღვანელობით, ქორეოგრაფიული ანსამბლი ქალბატონ თინათინ სუხიაშვილის ხელმძღვანელობით. კონცერტს უძღვებოდნენ სატელევიზიო პროექტის „ნიჭიერი 2010“ მონაწილეები – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ შიბლიანის საჯარო სკოლის მოსწავლეები – და-ძმა ელენე და გიორგი ჭამიაშვილები. პატარებს 1 ივნისი მიულოცა ქალბატონმა **ია თოლომაშვილმა** – სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორმა, ქალბატონმა თამარ ლაფერიშვილმა – №1 საბავშვო ბაღის მენეჯერმა. კონცერტის მსვლელობისას „მოსწავლე ახალგაზრდობის დღეები 2011“-ისა და სხვადასხვა რაიონულ, რეგიონულ, რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონკურსებში მონაწილე წარმატებული მოსწავლეები სიგელებითა და დიპლომებით დაჯილდოვდნენ.

ჩვენი შემოქმედებითი კოლექტივი მადლობას უხდის ყველა მოსწავლეს, პედაგოგს, სკოლის დირექტორს, მოსწავლე ახალგაზრდობის დღეების წარმატებით ჩატარებისათვის. ასევე მადლობას ვუხდით მუნიციპალიტეტის გამგებელს, ბატონ **გია ჩალათაშვილს**, კულტურის ობიექტების გაერთიანების დირექტორს, ბატონ **ბესიკ ღვინაშვილს**, შს საგარეჯოს განყოფილების უფროსს, ბატონ **გიორგი გორგაძეს** მხარდაჭერისათვის.

თამარ ჯაბადარი
საგარეჯოს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დირექტორი

სიყვარულის პოემა უკვდავია

12 ივნისს, კვირას, სულთმოფენობის დღესასწაულზე, თბილისის №1 გიმნაზიის ვესტიბიული, III სართულის მიმდებარე ტერიტორია, ხალხს ვერ იტევდა. საინტერესო დამთხვევის მონმენი გავხდით: საქტო დარბაზში კონკურსის – „ვკითხულობთ რუსთაველს“ დასკვნითი ტური მიმდინარეობდა. იქვე, სკოლის ტაძარში – დილის საზეიმო წირვა-ლოცვა აღესრულებოდა. რა კანონზომიერი და თანხვედრი იყო ესე ყოველი, როგორ უხდებოდა საერო და სასულიერო მსახურება ერთმანეთს, რა მადლი ტრიალებდა და სუფევდა იქ მყოფთა სულებში.

კონკურსში თბილისის ყველა რაიონის საჯარო სკოლების მოსწავლე ახალგაზრდობა მონაწილეობდა. აქ იყვნენ: 24-ე, 32-ე, 169-ე, 54-ე, 132-ე, 122-ე, მე-100, 52-ე, 115-ე, 174-ე, 181-ე, 128-ე, 171-ე, 148-ე, 192-ე, 170-ე, 104-ე, 71-ე, ასევე, ვ. ესვანჯიას სახელობის იტალიური სკოლა „ცისკარის“, საგარეჯოს მე-4 და წნორის 1-ლი საჯარო სკოლების მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები, გულშემატკივრები, საპატიო სტუმრები...

კონკურსის მონაწილეებს აფასებდა კომპეტენტური ჟიური შემდეგი შემადგენლობით:

ნოდარ სურგულაძე – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე;

გია მურღულია – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის №24 საჯარო სკოლის დირექტორი;

გია ალიბეგაშვილი – საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი;

ლია კარიჭაშვილი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის რუსთველოლოგიის კვლევითი ცენტრის ფილოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის დოქტორი;

თამარ ჯანგულაშვილი – თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებთა ფაკულტეტის დეკანი, ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი;

ნინო სანაია – თსუს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ფრანგული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი;

ირინა მჭედლიშვილი – თბილისის №24 საჯარო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი;

თეა ბერიშვილი – თბილისის №24 საჯარო სკოლის ინგლისური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი;

ბელა მამნიაშვილი – რეჟისორი.

კონკურსს წარმართავდა პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი **თამარ ბარისაშვილი**.

თამარ ბარისაშვილი: *„პროექტი „ვკითხულობთ რუსთაველს“ თბილისის №24 საჯარო სკოლის, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის რუსთველოლოგიის კვლევითი ცენტრის ორგანიზებითა და საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ხელშეწყობით უკვე მეშვიდედ ხორციელდება. როგორც ფილოლოგი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი და პროექტის კოორდინატორი, მოხარული ვარ, რომ ინტერესი კონკურსისადმი წლიდან წლამდე იზრდება, პროექტი თემატურად მრავალფეროვანი ხდება, მოზარდთა ჩართულობაც მატულობს. წელს გამორჩეულად თბილისი ლიდერობს, თუმცა წინა წლებში საქართელოს რაიონებისა და რეგიონების მონაწილეობა უფრო თვალსაჩინო იყო. ჩემი აზრით, ამასაც თავისი ახსნა მოეძებნება, კერძოდ, განათლების პროფკავშირმა, გარკვეულ მიზეზთა გამო, ვერ უზრუნველყო სამივლინებო ხარჯები, ასევე, სასერტიფიკაციო გამოცდების მოახლოებამ მასწავლებლები სკოლისგარეშე და კლასგარეშე ღონისძიებებს მეტ-ნაკლებად ჩამოაშორა.*

ვიმედოვნებ, სამომავლოდ ჩვენი საზოგადოება უფრო მეტად შეუწყობს ხელს პედაგოგთა შემოქმედებით აქტივობას.“

გია მურღულია – ჟიურის თავმჯდომარე: *„უკეთესი არ შეიძლება ადამიანმა მოიფიქროს, ვიდრე „ვეფხისტყაოსანს“ აზიაროს ჩვენი მოსწავლეები. მე ძალიან მომწონს ის, რომ ჩვენი შვილები წლიდან წლამდე ამყღავნებენ არა მარტო კარგ ცოდნას პოემისას, არამედ ძალიან დიდ სიყვარულს „ვეფხისტყაოსნისადმი“. ძალიან მიხარია, რომ ეს სიყვარული არ მთავრდება საქართველოში“.*

მაია კობახიძე – საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის პრეზიდენტი: *„პედაგოგთა პროფკავშირი მომავალშიც გააგრძელებს შემეცნებით-საგანმანათლებლო პროექტების განხორციელების ხელშეწყობას იმისათვის, რომ მასწავლებლებმა უკეთ წარმოაჩინონ შემოქმედებითი უნარი და პოტენციალი. ეს კონკურსი მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ჩართულობის კუთხითაც, ამგვარი პროექტები ამაღლებს მათი განვითარების ხარისხს.*

რაც შეეხება მონაწილეთა განწყობას დღეს, მათი „შეჯიბრი“, თუ ვინ უკეთ წაიკითხავს, მახსენებს პოემის უკვდავ პერსონაჟს – როსტევან მეფესა და მის სიხარულს, როდესაც ავთანდილმა ასპარეზობაში ტოლიც დაუდო და აჯობა კიდეც: „მაგრამ ავთანდილს ოცითა უფროსი დაუხოცია“ – მეფეს მათ შორის დადებული პირობაც კი გადაავიწყდა: „თავშიშველი სამ დღეს ვლიდეს“ – იმდენად ამაღელვებელი იყო მისთვის შეგირდის წარმატება.

„ვეფხისტყაოსანი“ გაჯერებულია ქართული ენერგიით და შოთას სიტყვაკაზმულმა ქართულმა ჩვენ დღეს სიხარული განგვაცდევინა.“

ჟიურიმ გამოავლინა გამარჯვებულები შემდეგ ნომინაციებში:

„საუკეთესო კომპოზიცია“

თბილისის №32 საჯარო სკოლა (პედაგოგი – **ნათელა ჩაჩუა**).

„საუკეთესო დეკლამაცია“

I ხარისხი – **მარიამ სისაური,** თბილისის №71 საჯარო სკოლა (პედაგოგი – **ნინო გიგუაშვილი**);

II ხარისხი – **სალომე ფარჯიანი**, თბილისის №115 საჯარო სკოლა – წაიკითხა ფრანგულად (პედაგოგი **ქეთევან მიქაუტაძე**).

III ხარისხი – **ლუსინე კაროიანი**, თბილისის №104 საჯარო სკოლა (პედაგოგი – **ნათელა ბალიაშვილი**).

„ჟიურის სიმპათია“

თბილისის №24 საჯარო სკოლის I^{ბ} კლასის მოსწავლეები:

1. **ალექსანდრე ბურდული;**
2. **დავით ზივზივაძე;**
3. **ანა დანელია;**
4. **გიორგი ფაიქიძე;**
5. **ვაჟა ლომაური;**
6. **ნოდარ ბუტიკაშვილი.**

მასწავლებელი: **ლია ბედინაძე**

„სპეციალური სიგელი“

ანრი საკანდელიძე – თბილისის №32 საჯარო სკოლა, ნომინაცია – ქანდაკება;

ანა ჭინჭარაძე – თბილისის ვ. ესვანჯიას სახელობის იტალური სკოლა „ცისკარი“ (პედაგოგი – **ქეთევან დევაძე**);

ნათია ოქროპილაშვილი – თბილისის №192 საჯარო სკოლა – „ესსე“ (პედაგოგი – **თამარ ლომიტაშვილი**).

წნორის №1 საჯარო სკოლის პედაგოგს, **ეთერ ბერიაშვილს** პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის მიერ დაწესებული სპეციალური პრიზი გადაეცემა.

კონკურსის მონაწილეები დაჯილდოვდებიან დიპლომებით, სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით.

სოფიკო სარიშვილი

ინფორმაცია

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ირინე ქურდაძემ და სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორმა გია მამულაშვილმა პედაგოგებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემა წარუდგინეს.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემა მიზნად ისახავს პედაგოგების უწყვეტ პროფესიულ ზრდას. სქემაში ჩართვა მხოლოდ სერტიფიცირებულ პედაგოგებს შეუძლიათ. მათთვის დაგეგმილია სხვადასხვა აქტივობები, მათ შორის – ტრენინგები, სემინარები, ოლიმპიადებში გამარჯვება, წიგნების თანაავტორობა და ა.შ.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემა მსოფლიოში აპრობირებული მეთოდია, საქართველოში პირველად შემუშავდა.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ნოდარ სურგულაძე მათემატიკური კონკურსის „იმედი ხვალის“ გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიას დაესწრო.

კონკურსში მონაწილეობა თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების III-VI კლასების მოსწავლეებმა მიიღეს და მისი მიზანი განსაკუთრებული მათემატიკური ნიჭით დაჯილდოებული ბავშვების ადრეულ ასაკში გამოვლენა იყო.

კონკურსი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით გაიმართა და მისი ორგანიზატორები იყვნენ: საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური“, მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე, საქართველოს საგანმანათლებლო ალიანსი და თბილისის 24-ე საჯარო სკოლა.

კონკურსი „იმედი ხვალის“ 2011 წლის 5-11 ივნისს ორ ტურად ჩატარდა. პირველ ტურში თბილისის სხვადასხვა სკოლებიდან 1200-მდე მოსწავლე მონაწილეობდა, მეორე ტურში დაშვებულ იქნა 165 მონანილე.

დაჯილდოების ცერემონიაზე მეორე ტურის შედეგები გამოცხადდა და გამარჯვებულები დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

დაჯილდოების ცერემონიაში ასევე მონაწილეობდნენ სასკოლო ოლიმპიადების სფეროში მოღვაწე მეცნიერები, საქართველოს მოსწავლეთა ინფორმატიკისა და მათემატიკის ნაკრებების მწვრთნელები, წლევანდელი და გასული წლების ნაკრებების წევრები და საერთაშორისო და ეროვნულ სასკოლო ოლიმპიადებზე წარმატებული სხვა მოსწავლეები.

კონკურსი ყოველწლიურად „ნიჭიერ ბავშვებთან მუშაობის პროგრამის“ ფარგლებში ტარდება. პროექტი საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრ „მზიურში“ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოქმედებს.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პრესცენტრი

ჩრდილებით წარმოდგენილი ბუნების გაკვეთილები

გოეთემ თავის ერთ-ერთ დაბადების დღეზე, სტუმრების გასართობად, ჩრდილების თეატრის წარმოდგენა გამართა. 170-ე საჯარო სკოლის (დირექტორი – **ნინო ტაბატაძე**) V^ა კლასის მოწავლეებმა კი გადავწყვიტეთ, სასწავლო წლის ბოლოს, ბუნების გაკვეთილების შეჯამება წარმოგვედგინა ჩრდილების თეატრის სახით (პედაგოგი – ა/დ **ქეთევან ქიქოძე**). იდეა დაიბადა ბუნების სახელმძღვანელოში მოცემული (გამომცემლობა „დიოგენე“) პროექტ „ჩრდილების თეატრის“ განხილვისას.

ჩრდილის წარმოქმნა სინათლის წრფივი გავრცელებით აიხსნება. სინათლე წრფივად ვრცელდება, ის დაბრკოლებას გარს არ შემოუვლის, ამიტომ იმ ადგილზე, სადაც სინათლე ვერ ხვდება, ჩრდილი მიიღება. სწორედ ამ პრინციპს იყენებენ ჩრდილების სპექტაკლის დადგმისას.

ჩრდილების თეატრი, ათასწლეულების წინ, აღმოსავლეთის ქვეყნებში (ჩინეთში, ინდოეთში, იაპონიაში) დაიბადა, შემდეგ ევროპაში გავრცელდა. საქართველოში ჩრდილების თეატრს „ბუდრუგანა გაგრა“ ჰქვია. მის წარმოდგენებში სილუეტებს, გამოჭრილი ფიგურების ნაცვლად, მსახიობთა ხელები ქმნის. დავესწარით სპექტაკლს „წელიწადის 4 დრო“, რამაც ჩვენში დიდი ინტერესი გამოიწვია.

რადგანაც ჩვენთვის შეუძლებელი იყო ბუნების ყველა გაკვეთილის ხელებით წარმოდგენა, სილუეტების წარმოსაქმნელად შევქმენით ფიგურები. ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის საკითხების წარმოსაჩენად ვიყენებდით სხვადასხვა თვალსაჩინოებებს. ქართულის მასწავლებლის, ინგა ნიკურაძის დახმარებით წარმოვადგინეთ ტოლერანტული და არატოლერანტული ქმედებები.

ჩანაფიქრი წარმატებული აღმოჩნდა. პედაგოგების და მოსწავლეების მოთხოვნით სპექტაკლი – „ბუნების გაკვეთილები ჩრდილებით“ ხელმეორედ ვაჩვენეთ.

დამსწრეთა შორის იყვნენ „ბუდრუგანა გაგრას“ მსახიობები, რომლებიც ძალიან დაგვეხმარნენ სპექტაკლზე მუშაობისას. ასევე, სახელმძღვანელოს ავტორები და გამომცემლობა „დიოგენეს“ წარმომადგენლები.

მეხუთე კლასში ნასწავლი ბუნების გაკვეთილები აღარასოდეს დაგვავიწყდება.

170-ე საჯარო სკოლის
V^ა კლასის მოსწავლეები

კლასგარეშე ღონისძიება სკოლაში აქტუალურია

ამ სასწავლო წელს დამამტკიცეს ქართული ენისა და ლიტერატურის მენტორ-მასწავლებლად ახალციხის №1 საჯარო სკოლაში. ჩემთან სამუშაოდ მოამაგრეს 3 მაძიებელი. ამ ფაქტმა უფრო მეტი ვალდებულების წინაშე დამაყენა. მათ ზედაპირული წარმოდგენა ჰქონდათ სასკოლო ცხოვრებაზე. შევეცადე, მათთვის მესწავლებინა არა მარტო ხარისხიანი გაკვეთილების ჩატარება, არამედ მეჩვენებინა, როგორ აქტუალურ როლს ასრულებს კლასგარეშე ღონისძიება მოსწავლის განვითარებაში. მაგალითად, დავდგით სპექტაკლი „იავნანამ რა ჰქმნა?!“.

მოგეხსენებათ, იაკობ გოგებაშვილის ამავე სახელწოდების ნაწარმოებში 6-7 პერსონაჟია. მე კი მინდოდა, V^ბ კლასის ყველა მოსწავლეს მიეღო მონაწილეობა. რადგან კლასში 31 მოსწავლეა, ხელოვნურად შევქმენი როლები. სცენაზე ორი დეკორაცია იყო – ერთი წარმოადგენდა ტყეს, რომელიც შექმნილი იყო ხელოვნური ნაძვებით, ხავსითა და ყვავილებით, ხოლო მეორე – ზურაბ ქართველაძის დარბაზს.

კულისებიდან პირველად გამოვიდნენ ქეთო და მისი მეგობარი ბიჭუნა. ისინი თამაშობდნენ, ყვავილებს კრეფდნენ. შორიდან მოისმა ძიძის ხმა, ქეთოს უხმობდა. შემდეგ ძიძაც გამოჩნდა და ქეთოს ამცნო, რომ სასახლეში დიდი წვეულება ჰქონდათ მის მშობლებს და სთხოვდა შინ დაბრუნებას. საინტერესოდ განასახიერეს ბავშვებმა მოსამსახურე ქალ-ვაჟის სახე. ვაჟი ეარშიყებოდა ქალს, ქალმა კი ქოქოლა მიაყარა და უთხრა, რომ არშიყის დრო არ იყო, სასწრაფოდ სუფრა უნდა გაეშალათ. მუსიკის თანხლებით გაშალეს სუფრა. შემოვიდნენ ზურაბი და მაგდანი და შემოიპატიჟეს სტუმრები. დიდი ლხინი გაიმართა ქართველაძეების დარბაზში. ზურაბის თხოვნით, შესრულდა ცეკვა „ქართული“. ამბობდნენ სადღეგრძელოებს საქართველოზე, გმირობაზე, მეგობრობაზე, კითხულობდნენ ლექსებს, მღეროდნენ, ცეკვავდნენ. აღსანიშნავია, რომ ზურაბს სტუმრად ჰყავდა 2 ლეკი მეგობარი, რომლებმაც ისაუბრეს საქართველოსა და დაღესტნის კარგ ურთიერთობაზე. მეორე მოქმედებისას მოსწავლეებმა დამაჯერებლად გაითამაშეს ბაჯაჯგუნა ლეკების მიერ ქეთოს გატაცების სცენა. საინტერესოდ შეასრულეს ნაიბისა და მისი ცოლის როლები, აგრეთვე, სოფლის ვაჟკაცებისა, რომლებიც დაეხმარნენ მშობლებს ქეთოს დაბრუნებაში. კარგად განასახიერეს მეზობელი ქალები, რომლებიც ქართველაძეებს თანაუგრძნობდნენ, სანამ ქეთო გონს მოვიდოდა. ამაღელვებელი იყო მაგდანის „იავნანა“ და ქეთოს მეხსიერების აღდგენა.

უნდა მოგახსენოთ, რომ ამ კლასში სწავლობს სსსმ მოსწავლე, რომელსაც ი ს გ-ს პროგრამით ვასწავლი. ამ მოსწავლემაც კარგად გაართვა თავი როლს. სპექტაკლის ჩატარების მიზანი იყო ის, რომ მოსწავლეებს კარგად გაეაზრებინათ ნაწარმოები, ამოეცნოთ მისი თემა და იდეა, დაეხვეწათ მეტყველება, თავი წარმოედგინათ მსახიობებად. სპექტაკლმა დიდი სიამოვნება მიანიჭა როგორც მოსწავლეებს, ისე მოწვეულ სტუმრებს.

მზია ეგიაშვილი
ახალციხის №1 საჯარო სკოლის
მენტორ მასწავლებელი

სპორტი

ყიფიანის სახელობის ტურნირი

18 ივნისი ცნობილი ქართველი ფეხბურთელის – დავით ყიფიანის დაბადების დღეა. წლეულს მას 60 წელი შეუსრულდებოდა, კვირას კი ამ თარიღის აღსანიშნავად 35-ე საფეხბურთო სკოლის ხელოვნურსაფარიანმა მოედანმა უმასპინძლა დიდი ფეხბურთელის სახელობის ტურნირს, რომელიც „ღია სახალისო ფეხბურთის“ ფარგლებში ჩატარდა. მასში 1999 წელს დაბადებული დედაქალაქის საფეხბურთო სკოლების გუნდები მონაწილეობდნენ, ამჯერად – მხოლოდ ოთხი: მასპინძელი 35-ე საფეხბურთო სკოლა, „ოლიმპი-2“, „ავაზა-ვისოლი“ და „ნორჩი დინამოელი“.

მასპინძელთა სამწუხაროდ, მათი გუნდისთვის ნორჩ დინამოელთა ბარიერი დაუძლეველი აღმოჩნდა – 1:4 დამარცხდნენ. მეორე შეხვედრაში „ავაზა-ვისოლმა“ ოლიმპიელებს 2:1 მოუგო და მთავარი პრიზისთვის ბრძოლის უფლება მოიპოვა. ფინალურ შეხვედრას საქართველოს ყველა დროის ერთ-ერთმა საუკეთესო არბიტრმა **ანატოლი მილჩენკომ** უმსაჯა. გამარჯვება და დავით ყიფიანის სახელობის თასი „ნორჩ დინამოელს“ ერგო – მან მეტოქე საკმაოდ იოლად, 5:2 დაამარცხა.

საინტერესოდ წარიმართა მატჩი მესამე ადგილისთვის 35-ე სკოლასა და „ოლიმპს“ შორის. დაძაბული შეხვედრა ფრედ დამთავრდა – 3:3. ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით, მესამე ადგილის მფლობელად ორივე გუნდი გამოცხადდა. თუმცა სამახსოვრო საჩუქრები ოთხივე გუნდმა მიიღო. ტურნირზე დაწესებული იყო ცალკეული ნომინაციებიც: საუკეთესო მეკარედ **ლაშა გურგენიძე** („ოლიმპი-2“) დაასახელეს, საუკეთესო ფეხბურთელად – **გიორგი ჭანკვეტაძე** („ნორჩი დინამოელი“), საუკეთესო მცველად – **ნიკა ნინუა** („ნორჩი დინამოელი“), ხოლო ფინალის საუკეთესო გოლის ავტორად „ავაზა-ვისოლის“ ფეხბურთელი **მათე მინდიაშვილი** მიიჩნიეს. ჭანკვეტაძეს საჩუქრად თბილისის „დინამოს“ 10-ნომრიანი მაისურიც გადაეცა, რადგან ის კლუბშიც ამ ნომრით თამაშობს.

აღსანიშნავია, რომ ყიფიანის გარდაცვალების შემდეგ მისი სახელობის ტურნირი ყოველწლიურად ტარდება, რაც მოზარდებისთვის თავის წარმოჩენის, სატურნირო პრაქტიკის მიღების კარგი შანსია.

ჭაბუკების წარუმატებლობა სამეზობლოში

გასულ კვირაში საქართველოს ორი ასაკობრივი ნაკრები მეზობელ ქვეყნებში ასპარეზობდა. ჩვენი გაზეთის წინა ნომერში უკვე ვწერდით, რომ 17-წლამდელები ბაქოში „კავკასიის თასზე“ გამოდიოდნენ და ქვეჯგუფში მეორე ადგილიც დაიკავეს, ხოლო 16-წლამდელები ერევანში სომეხ თანატოლებთან ორი ამხანაგური მატჩის გასამართად ჩავიდნენ და პირველი ფრედ დასრულეს – 0:0.

სამწუხაროდ, ამის შემდეგ მათი თანამდევი წაგება გახდა. 17-წლამდელები მესამე ადგილისთვის აზერბაიჯანელებს გაეჯიბრნენ. ძირითადი დრო ფრედ კი დასრულდა – 1:1, მაგრამ ჩვენებმა პენალტების სერიაში წააგეს. ძირითადში ანგარიში აზერბაიჯანელებმა მე-8 წუთზე გახსნეს, მაგრამ **თორნიკე მაჭავარიანმა** 26-ზე გაათანაბრა. ამის შემდეგ მეტი გოლი აღარ გასულა, პენალტებში კი **ვასილ მაისურაძის** შეგირდებმა სამი დარტყმა გააფუჭეს. საბოლოოდ აზერბაიჯანელებმა 3:0 იმარჯვეს, ჩვენები კი მეოთხე ადგილზე დარჩნენ. თავად ტურნირი თურქეთის ნაკრებმა მოიგო, რომელმაც ფინალში ესპანელებს ასევე პენალტებით აჯობა. აქვე შევნიშნავთ, რომ ესპანეთი ჩვენს ჯგუფში გამოდიოდა და მასთან ფრედ ვითამაშეთ – 1:1, მანამდე კი ყაზახეთს 5:1, ყირგიზეთს კი 5:0 მოვუგეთ.

16-წლამდელებმა განმეორებითი შეხვედრა ბევრად უფრო სუსტად ჩაატარეს, ვიდრე - პირველი. არადა, ის შეხვედრა ერევანში ჩასვლის დღესვე გამართეს, დაღლილებმა და ნამგზავრებმა. სამწუხაროდ, მეორე შეხვედრა **გელა შეყილაძის** შეგირდებმა 1:3 წააგეს. არადა, ანგარიში ჩვენებმა გახსნეს – **გიორგი ხარაიშვილმა** მე-18 წუთზე, მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს და დამარცხდნენ.

მედალი კუშადასიდან

თურქულ კუშადასში XIV-ედ გაიმართა ჭაბუკთა დიდი ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც საქართველოდან გამოვიდნენ როგორც თავისუფალი, ასევე ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე გუნდები. უფრო უკეთ ბერძენ-რომაელებმა იჭიდავეს, რომლებმაც ერთი ოქრო და სამი ვერცხლი მოიპოვეს, „თავისუფლებმა“ კი ორი ვერცხლი და ერთი ბრინჯაო ირგუნეს. ბერძენ-რომაელთაგან ჩემპიონი **შმაგი ბოლქვაძე** (58) გახდა, რომელმაც ფინალში მასპინძელი **ემრე ბასარი** დაამარცხა. ფინალური შეხვედრა თურქთა ფალავანთან დათმო **ირაკლი კოვზირიძემ** (85) – **ფატიჰ ბასკისთან** წააგო, **ლეონ ხოზრევანიძე** (46) და **ლაშა გობაძე** (76) კი ირანელებთან დამარცხდნენ - პირველი **კონსენტ ხედრისთან**, მეორე - **მასოუდ მორადისთან**.

„თავისუფალთაგან“ ვიცე-ჩემპიონები **გიორგი ჩხარტიშვილი** (76) და **ბექა როჭიკაშვილი** (85) გახდნენ, მესამე საპრიზო ადგილზე კი **ტაიფუნ აბდულაევი** (42) გავიდა. ჩხარტიშვილმა ფინალი რუს **ალიმბეკ აიდინოვთან** დათმო, როჭიკაშვილმა – ირანელ **ჰატამ ალიაკბარზადენთან**.

ჩვენი გუნდები ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებისთვის ემზადებიან, რომლებიც, ლამის ერთმანეთის მიყოლებით, ამ ზაფხულში იმართება. ამიტომ მწვრთნელები ორ-ორ შემადგენლობას არჩევენ. ივლისში ისინი ირანშიც გამოვლენ საერთაშორისო ტურნირში, მერე კი მწვრთნელები შემადგენლობასაც დაასახელებენ.

ვაზაგაშვილის პირველი ოფიციალური

24 ივნისს, მალტაზე, ქალაქ კოტონერაში ჭაბუკ ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატი დაიწყება, რომელშიც საქართველოს ნაკრები ასეთი შემადგენლობით გამოვა: **ზაზა ხუბულური** (50), **ბაჩანა ბოლქვაძე, ივანე მამისაშვილი** (55), **თამაზ კირაკოზაშვილი, ჯუმბერ ჩიხიაშვილი** (60), **გიორგი მუზაშვილი, აპოლონ ზურაბიანი** (66), **ლევან გუგავა, ბექა დონღვანი** (73), **ბექა ღვინიაშვილი, ადამ ვარაზაშვილი** (81), **შალვა ჩოჩელი, გურამ თუშიშვილი** (90), **გიორგი ლაზუაშვილი, გიორგი გელაშვილი** (+90).

ეს შეჯიბრება პირველი ოფიციალური ტურნირია ნაკრების თავკაცის, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონისა და ოლიმპიური პრიზიორის **გიორგი ვაზაგაშვილისთვის**, რომელიც საბერძნეთში ხანგრძლივად ცხოვრების შემდეგ სამშობლოს პირველივე შესაძლებლობისთანავე დაუბრუნდა. მწვრთნელისთვის ამ შემადგენლობის შერჩევა იოლი არ ყოფილა, რადგან ეს ხანგრძლივი პროცესია. გუნდის ფორმირება საქართველოს ჩემპიონატზე დაიწყო, თუმცა მოგვიანებით ანთალიასა და კიევში გამართულმა საერთაშორისო ტურნირებმა უმრავლეს წონებში მისი შედეგები თავდაყირა დააყენა. განსაკუთრებული ცვლილებები მაინც გუგავამ შეიტანა, რომელმაც ორივე შეჯიბრება მოიგო, კიევში კი ფინალში საქართველოს ჩემპიონ დონღვანსაც სძლია. ასევე ორივე უცხოურ ტურნირში იმარჯვეს კირაკოზაშვილმა და ჩოჩელმაც, თუმცა გუგავასგან განსხვავებით, მათ ქვეყნის პირველობაც მოიგეს. აღსანიშნავია, რომ ორივე ძალზე ნიჭიერია და თავიანთ ასაკში აშკარად გამოირჩევიან. თანაც, არა მხოლოდ საქართველოში. მაისში ჩოჩელმა საკუთარი ხარჯით (ის მცხეთა-მთიანეთის მხარის რწმუნებულ **ცეზარ ჩოჩელის** შვილია) პოლონეთშიც იჭიდავა და მეორეზე გავიდა. ცხადია, მალტაზეც ჩვენი გუნდის ლიდერი ეს ტრიო იქნება, თუმცა მედლებს არც სხვებისგან გამოვრიცხავთ. დანარჩენთაგან მუზაშვილმა, ლაზუაშვილმა და ღვინიაშვილმა საქართველოს პირველობაც მოიგეს და უცხოეთში – თითო შეჯიბრებაც.

ტატიშვილის ისტორიული გამარჯვება

ამჟამად საუკეთესო ქართველი ჩოგბურთელი ქალის, 20 წლის **ანა ტატიშვილის** პროგრესი აშკარაა – ჯერ იყო და ერთი თვის წინ, პარიზში, „როლან გაროსზე“ მიმდინარე საფრანგეთის ღია პირველობაზე საკვალიფიკაციო ეტაპიდან ძირითად ბადეში გააღწია, სადაც პირველივე წრეში ფავორიტ მასპინძელ **მარიონ ბარტოლის** ერთი სეტიც კი მოუგო. მაშინ ეს წარმატება შეფასდა ისტორიულად, რადგან ჩვენებურებს მსგავსი მიღწევა ამ საუკუნეში არ ჰქონიათ. იქაური წარმატებით მან ჩოგბურთელთა ზეპრესტიჟული „დიდი მუზარადის“ მორიგ ტურნირზე – ლონდონურ „უიმბლდონზე“ ძირითად ბადეში გამოსვლის უფლება მიიღო, სადაც მორიგი ისტორიული მოგება მიითვალა, ოღონდ არა ერთი კონკრეტული სეტისა, არამედ ამჯერად მთლიანად შეხვედრა ჩაიწერა აქტივში – რუს **ანასტასია პივოვაროვას** სამ სეტში აჯობა. ტატიშვილი თავიდანვე დაწინაურდა, პირველი 4 გეიმიდან 3 მოიგო, მაგრამ ამ სეტში ეს მისი მაქსიმუმი აღმოჩნდა. რეიტინგში ცოტათი წინ მყოფი და შეხვედრის ფავორიტი რუსი ამის შემდეგ კარგად ათამაშდა და პირველი პარტია 6:3 მოიგო. საბედნიეროდ, მომდევნო ორ სეტში მეტოქემ ტატიშვილის შეჩერება ვერაფრით შეძლო და ჩვენებურმა 6:2; 6:3 იმარჯვა. ეს მისთვის პირველი გამარჯვებაა „დიდი მუზარადის“ შეჯიბრებაში, ბოლოს კი ამ რანგის ტურნირზე **ლეილა მესხმა** გაიმარჯვა, როცა ამერიკის ღია პირველობაზე იაპონელი **კიმიკო დატე** დაამარცხა. ვაჟებში მთლად ასე დიდი ჩავარდნა არ გვქონია – 2006 წელს **ირაკლი ლაბაძე** ისევ უიმბლდონზე მერვედფინალამდე მივიდა.

ამ მოგებით ტატიშვილმა 100 სარეიტინგო ქულა და 23-ათასდოლარიანი ჰონორარიც გაინაღდა. აღსანიშნავია, რომ ამხელა პრემია მას არასოდეს მიუღია, თუმცა თუ კიდევ მოახერხებს გამარჯვებას, ცხადია, ჰონორარი გაიზრდება. აქვე გეტყვით, რომ მეორე წრეში მოგება 160 ქულად და 40 ათას დოლარადაა შეფასებული. სადღეისოდ, ტატიშვილი რეიტინგში 118-ეა და ლონდონის ოლიმპიადის ლიცენზიის მოპოვების ჩინებულ შანსს ინარჩუნებს.

ევროპის ახალგაზრდული დღეები

ამ დღეებში, სერბულ ზრენჯანინში, ევროპის ჩემპიონატი გაიმართება ახალგაზრდა მოჭიდავეთა შორის. მასში თავიდან თავისუფალი სტილით მოჭიდავეები ჩაებმებიან, ჩვენი ნაკრები კი ასეთი შემადგენლობით გამოვა: **ლაშა ტალახაძე** (50), **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (55), **თენგიზ ჩოჩიშვილი** (60), **დავით ტლაშაძე** (66), **ბექა პეტრიაშვილი** (74), **დავით მარსაგიშვილი** (84), **თედო ებანოიძე** (96), **გენო პეტრიაშვილი** (120).

ბერძენ-რომაელთა ნაკრებში **ნიკოლოზ ცეცხლაძე** (50), **თორნიკე ტოტიკაშვილი** (55), **გოგიტა გოგიბერაშვილი** (60), **საჩინო დავითაია** (66), **ზურაბ დათუნაშვილი** (74), **დავით ჩაკვეტაძე** (84), **სანდრო დიხამინჯია** (96) და **სერგო გოგისვანიძე** (120) იჭიდავებენ.

ამ გუნდებიდან განსაკუთრებული იმედები „თავისუფალთა“ ნაკრებს უკავშირდება, რომელიც შარშანდელს შემდეგ, თაობათა ცვლის გამო, გვარიანად კი გადახალისდა, მაგრამ შემადგენლობის ნახევარი მაინც შერჩა: ხინჩეგაშვილმა შარშან ახალგაზრდებში მსოფლიოს პირველობა მოიგო, ევროპაზე კი ფინალი დათმო, ხოლო წლეულს ის და მარსაგიშვილი უკვე უფროსებში გახდნენ ევროპის ვიცე-ჩემპიონები. ჩოჩიშვილმა შარშან ახალგაზრდებში ევროპაზე ვერცხლი, მსოფლიოზე კი ბრინჯაო მოიპოვა, ხოლო ტალახაძე, პირიქით, ევროპაზე გავიდა მესამეზე და მსოფლიოზე ფინალი დათმო. შარშანდელ გუნდში იყო ტლაშაძეც, რომელიც მაშინ უმედლოდ დარჩა, ამჯერად კი, იმედია, გამოცდილება საკმარისი აქვს და სერბეთიდან ხელცარიელი არ დაბრუნდება. თუმცა ნაკრების ლიდერებად მაინც ხინჩეგაშვილი და მარსაგიშვილი რჩებიან, რომლებმაც უკვე უფროსთა შორისაც მოიპოვეს ზემოაღნიშნული წარმატება (რომ არა მსაჯთა არაობიექტურობა, მარსაგიშვილი ევროპის ჩემპიონიც გახდებოდა). მათ ეროვნულ ნაკრებში მსოფლიოს პირველობაზეც უნდა იჭიდაონ და თუ არ გადაიღალნენ, მაშინ ახალგაზრდებშიც მოუწევთ, ასევე, მსოფლიოზე გამოსვლა. ოღონდ პრობლემა ისაა, რომ ახალგაზრდებში ევროპა და მსოფლიო მეტისმეტად შემჭიდროებულ ვადებში, ერთთვიანი შუალედით ტარდება.

რუბრიკას უძღვება
ირაკლი თავაძე

„ახალი განათლების“ წიგნის თაროზე

სიახლე!



მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია

პირველად საქართველოში, მსოფლიოს ისტორიის ენციკლოპედია გლობალურ კონტექსტში, უნიკალური ილუსტრაციებით, რუკებითა და ფოტომასალით.

ეს წიგნი თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე და ერთადერთი ქართული გამოცემაა, რომელშიც მკითხველი გაეცნობა უამრავ საკვირველ და თანაც ნამდვილ ამბებს ადამიანებზე, ქვეყნებსა თუ მოვლენებზე, რომელთა წყალობითაც შეიქმნა ის მრავალფეროვანი სამყარო, რომელშიც დღეს ვცხოვრობთ.

ეს წიგნი დაგეხმარებათ სხვადასხვა ქვეყნის ისტორიულ, პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ პროექტებზე მუშაობისას, რადგან აქ მსოფლიოს ისტორიის თითოეული ეტაპი ამა თუ იმ ქვეყანასთან, კონტინენტებთან მიმართებაში დაწვრილებით, თემატურადაა განხილული – დასაბამიდან დღემდე – ქვის ხანის ადამიანებიდან რუსეთ-საქართველოს ომით დამთავრებული.

წიგნი გამოცემულია უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე და მთელ მსოფიოში უნიკალურ სამაგიდე წიგნადაა აღიარებული.

ზომა: A4, 496 გვერდი, მაგარ ყდაში, სუპერგარეკნით.

საბავშვო ცხოველთა ენციკლოპედია



წიგნში მოცემულია 1000-ზე მეტი ფერადი ილუსტრაცია. გაეცნობით ძუძუმწოვრების, ფრინველების, ქვეწარმავლების, ამფიბიების, ობობების და სხვა უხერხემლოების შესახებ ბევრ საინტერესო ინფორმაციას. წიგნი შედგენილია ექსპერტთა ჯგუფის მიერ.



ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია

მოიცავს ყველა ძირითად ეტაპს ხელოვნებაში, რენესანსიდან დაწყებული XX საუკუნის მასკულტურით დამთავრებული. ტექსტითა და უხვი ილუსტრაციებით, მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის დიდ მხატვრებსა და ხელოვნებაში ახალ მიმდინარეობებზე. კონკრეტული მხატვრების ნამუშევრები ანალიტიკურ მოდულებშია გამოყოფილი, რაც მკითხველს საშუალებას აძლევს უფრო საფუძვლიანად გაეცნოს და დააფასოს მათი უაღრესად მრავალფეროვანი ტექნიკა. წიგნში მოთხრობილია ხელოვნებაში წლების წინ დამკვიდრებული თემებისა და ჟანრების შესახებ, როგორიცაა შიშველი ფიგურა, ნატურმორტი, პეიზაჟი, ქალაქური ცხოვრება და სხვ.

ვაცნობიერებთ რა ამ ენციკლოპედიების მნიშვნელობას სკოლებისა და პედაგოგებისთვის გთავაზობთ გრანდიოზულ ფასდაკლებას:

მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია – 35 ლარი
საბავშვო ცხოველთა ენციკლოპედია – 26 ლარი
ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია – 30 ლარი

ხელმოწერის თანხა უნდა ჩარიცხოთ
30 ივნისამდე

გადმორიცხვისას აუცილებლად მიუთითეთ
ქალაქი, რაიონი, სოფელი, სკოლა, სახელი და გვარი.

შესაძლებელია ინდივიდუალური ხელმოწერები!

მსურველები დაგვიკავშირდით ტელეფონებზე:
95 80 23; 890 95 80 23; 877 13 22 83.

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ202058735
ს/ს„ლიბერთი ბანკი“, ბ/კLBRTGE22, ა/აGE93LB0113314052305000

ჯეგროვნიერთდით!

სიახლე!

გამოვიდა „მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსების“ სერიიდან სამი ახალი ტომი:

ფიოდორ დოსტოევსკი – „მკვდარი სახლის ჩანაწერები“
სტენდალი – „წითელი და შავი“
შოდერლო დე ლაკლო – „სახიფათო კავშირები“

„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“
ერთი ტომი – 12 ლარი

„რა არის რა“ ერთი ტომი – 11 ლარი

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: ტეტელაშვილის №3 ტელ.: 295-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.
www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype: axali.ganatleba

რეგისტრაციის № 2/4-1609, ინდექსი ხელმოწერისთვის: 76096
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.

რედაქციის რეკვიზიტებია: საქართველოს ბანკი ბ/კ BAGAGE22, ს/კ 202058735, ა/ა 123631000

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.